# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 15 იანვარი 2008 №006 (3230) ფასი 50 თეთრი


## ყინავს, მაგრამ ასე ყინავს?!

### კალათბურთს თამაშობენ, არადა, ხელბურთელები არიან

რა კარგია, სპორტის სასახლეები რომ აშენდა საქართველოს ქალაქებში. ბოლოს და ბოლოს, სპორტი მხოლოდ თბილისისა ხომ არ არის...

სასახლე გაიხსნა დუშეთშიც და გუშინ იქ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები გაემგზავრა.

გეხსომებათ: „ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპის მოგების მერე ჩვენი ხელბურთელები მთავარი ჯილდოსთვის საბრძოლველად ემზადებიან, 20 იანვარს ნორვეგიაში ლუქსემბურგთან გვაქვს ფინალი.

ფინალისთვის მოსამზადებლად, თბილისში თბილი დარბაზი რომ ვერ გამოიძებნა, ჩვენი სპორტსმენები დუშეთში ჩავიდნენ, პირობები იქ არისო.

მაგრამ, ვაი რომ ყინვას დუშეთშიც ჩაულწევია, იქაური სასახლეც გაუყინავს და ვარჯიში შეუძლებელი რომ გამხდარა, ხელბურთელთა ნაკრებს კალათბურთი წაუთამაშებია და უკან გამობრუნებულა.

ფინალამდე კი ხუთი დღეღა დარჩა...

## როგორც მოსალოდნელი იყო: გუშინდელი სადღეისოდ გადმოიდო

# კალენდარს ისევ ველით

## თუ დღესაც ვერა, ფიფას მივაკითხავთ

## Australian Open

The Grand Slam of Asia/Pacific

# ავსტრალიამ კორტი გახსნა

პირველი დღის გმირი ჟო-ვილფრედ ცონგა

## პირველი დღის მოულოდნელობა: მხოლოდ ერთი მოულოდნელობა

გუშინ, ჩვენი დროით დილის სამი საათისთვის წლის პირველი სლემტურნირი დაიწყო. ავსტრალიის ღია პირველობის პირველი სათამაშო დღე იყო და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ხალხი სენსაციების მოლოდინში იყო.

არადა, პირველ დღეს კი ოდენ ერთი მოულოდნელი შედეგი მივიღეთ — ენდი მიურეი ჟო-ვილფრედ ცონგასთან დამარცხდა, არადა, მიურეი ფავორიტთაგანი გახლდათ.

ერთი მოულოდნელობა — ბევრია ეს თუ ცოტა? ავსტრალიის ღია პირველობისთვის ცოტაა და აი, რატომ: სეზონის პირველი დიდი ტურნირისთვის კაცმა არ იცის, ვინ როგორ ფორმაშია და ტრადიციულად, სწორედ ავსტრალიაში ხდება ყველაზე მეტი მოულოდნელობები. სხვებმა კი, ვისაც ასევე ფავორიტებად მოვიხსენიებთ ხოლმე, მოიგეს.

# შეთანხმება არ ჩანს

## ვინ იტყვის კალენდარს?

**შეთანხმება** ვერ მოხერხდა — გუშინ სოფიის „გრანდ ჰოტელ სოფიაში“ ექვსი ქვეყნის დელეგაცია მუნდიალ-2010-ის შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე ვერ შეთანხმდა.

იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი, საქართველო, ჩერნიგორია — ბუნებრივია, ამ ექვსივე ქვეყანას თავისთვის სასურველი კალენდრის გატანა სურდა, თუმც...

„გრანდ ჰოტელ სოფიაში“ მსჯელობა იქაური დროით დილის 10-ის ნახევარზე დაიწყო და დაახლოებით 16 საათზე დასრულდა... ოღონდ, როგორც უკვე ვთქვით, შეთანხმება ჯერჯერობით არ არსებობს...

ამასობაში კი, ბულგარელმა ჟურნალისტებმა ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ნაკრების მწვრთნელებს კომენტარები სთხოვეს...

**კლაუს ტოპმიოლერი:** „ჯგუფის ფავორიტი უდავოდ იტალიაა, მათ მერე კი ყველაზე კარგი შანსი ბულგარეთს აქვს. მთლიანობაში, თანაბარი ჯგუფია, ექვსივე ნაკრები იმედიანადაა“.

**რობერტო დონადონი** (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): „ქალაქზე ფავორიტი იტალიაა, მაგრამ დიდი ბრძოლა მოგვიწევს. მეტოქეთაგან, პირველ რიგში, ბულგარეთსა და ირლანდიას გამოვარჩევ. საერთოდაც, ძლიერი ჯგუფია“.

**ზორან ფილიპოვიჩი** (ჩერნიგორიის ნაკრების მწვრთნელი): „ჩვენ პირველად მოვხვდით შესარჩევ ციკლში. ვფიქრობ, ძლიერი ჯგუფი გვერგო, მაგრამ ბრძოლა შეიძლება. გამოკვეთილი ფავორიტი იტალიაა“.

მზარეები დღეს ერთხელაც მიუსხდებიან მაგიდას და თუ ისევ ვერ შეძლეს შეთანხმებას, მაშინ საქმეს ფიფა მიხედავს.

**ილია ნანობაჯვილი**

# ოლიმპი რუსეთში ახლებით ჩავა

**საქართველოს** ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ უკრაინაშია და საახალსეზონოდ იქ ემზადება.

ანატოლი პისკოვეცის გუნდში ბევრი ცვლილება რომ მოხდა, გეცოდინებათ — რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, მათ ნაცვლად კი ჯერჯერობით ხუთი ახალწვეულია.

„ბორჯომის“ მეკარე ბექა შეყრილაძე, ზუგდიდის „მგლების“ ნახევარმცველი გელა ხუბუა და უკრაინული ტრიო — ცერკოვის „როსის“ მცველი სერგეი პატულა, პოლტავის „ვორსკლას“ თავდამსხმელი ანტონ კოვალეცკი და ლუცკის „ვოლინის“ ნახევარმცველი ნიკოლაი სტეჩკო — აი, ეს ხუთეული ვარჯიშობს დღესდღეობით „ოლიმპში“.

შეგახსენებთ, რომ 19 იანვარს „ოლიმპს“ „თანამეგობრობის თასი“ ეწყება სანკტ პეტერბურგში. რუსთაველები C ჯგუფში ლატვიურ „ვენტსპილსთან“, სერბულ ოფკ-სთან და ყირგიზულ „დორდოი-დინამოსთან“ ერთად არიან.

# თამაშით თუ ვერა, ფორმით მაინც დავემსგავსოთ ფეხბურთის გუნდს

**სიმფეროპოლის** „ტავრიას“ ვებგვერდზე გულშემატკივართა წერილების განყოფილებაში გუშინ ერთ ასეთ გამოხმაურებას წავაწყდით: „ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს კოლმეურნეობის გუნდი იყო. ზოგ ფეხბურთელს შორტი ეცვა, ზოგს შარვალი, ზოგი გეტრებით იყო, ზოგი უგეტრებოდ... ნახევარ გუნდს ნომრიანი მაისურები ეცვა, ნახევარს ნომერი ამძვრალი ჰქონდა. კლუბის ხელმძღვანელობა კი მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან არხეინად გამოიყურებოდა“.

მავანი სიმფეროპოლელი გულშემატკივრის ეს დაკვირვება, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ ეხება...

და როგორი უნდა იყოს ჩვენი რეაქცია?

კი ბატონო, აღვშფოთდეთ და ვთქვათ, რომ არავის საქმეა, ამხანაგურ მატჩში ვინ რას ჩაიცვამს, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ სწორედ ასეთი ნირგვარი ჩაცმულობით იკარგება ავტორიტეტი და ბუნებაში არ არსებობს ძალა, სათამაშოდ ასეთნაირად გასულმა გუნდმა, გინდ მეტოქე და გინდ გულშემატკივარი, მისდამი პატივისცემით განაწყოს.

**კოტე კეკელია**

ოლიმპელები „ტავრიასთან“ 0:3 წაგებულ მატჩში

# ლოკომოტივის ლიანდები ანთალიამდე დაგეგმეს

ზაზა ზამთარაძე

მეორე დილეგაციაგვილის ფოტო

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატი თებერვალში განახლდება, მანამდე კი გუნდები შეძლებისდაგვარად ემზადებიან.

რამდენიმე კლუბი უკვე წავიდა უცხოურ შეკრებაზე, რასაც სხვებიც გეგმავენ.

თბილისის „ლოკომოტივი“ ჯერ თბილისშია, მაგრამ 19 იანვარს ანთალიაში გაემგზავრება. გიორგი კიკნაძის გუნდი პირველი წრის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, შემატებით კი ოთხი ფეხბურთელი შეიმატეს: მეკარე მიხეილ ალავიძე („ოლიმპი“), ნახევარმცველები, გიორგი ქუცურუა („სიონი“) და გიორგი ნიკოლაიშვილი („ამერი“) და თავდამსხმელი ალეკო კაიდარაშვილი („მესხეთი“).

როგორც კიკნაძის თანაშემწე ზაზა ზამთარაძემ გვითხრა, „ლოკომოტივის“ ფარმ-კლუბიდანაც იგეგმება ფეხბურთელების დამატება — ეს საკითხი ანთალიაში წასვლამდე გადაწყდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# სპარტაკი თან ვარჯიშობს და თანაც ლაპარაკობს

**ცხინვალის** „სპარტაკი“ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეს სახეშეცვლილი შეხვდება. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი რევაზ ქემოკლიძემ, დავით გოგოლაძემ, დიმიტრი პარამონოვმა და კახა ცქვიტაიამ დატოვეს.

„ზესტაფონს“ დაუბრუნდნენ ირაკლი ძარია და დავით ჯანელიძე — მათი საკითხი გასარკვევია, შესაძლოა, ისევ „სპარტაკში“ მივიდნენ.

ივარის ვადა გაუვიდა ირაკლი ჩირიკაშვილს და ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე.

როგორც ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, ჯერ ახალი ფეხბურთელები არ შეუმატებია, მაგრამ რამდენიმესთან მოლაპარაკება მიდის.

გუნდი თბილისში ემზადება და თუ ფინანსები გამოჩნდა, ანთალიაშიც წავალთ შეკრებაზეო, გვითხრა ცხინვალელთა თავკაცმა.

**ნუკრი ლოლაძე**

# ხორგუაშვილმა კარიდან დაიწყო

**გორის** „დილას“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ემუქრება და თუ ქართლელები მეორე წრისთვის არ გაძლიერდნენ, ალბათ დაქვეითება არ ასცდებათ.

ზურაბ ხორგუაშვილი გუნდს ჯერჯერობით გორში ავარჯიშებს.

როგორც „დილას“ მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, ამჟამად მის განკარგულებაში 33 ფეხბურთელია.

უკვე გადაწყდა, რომ სეზონის ბოლომდე „დილას“ კარს დაიცავს ზურაბ ბათიაშვილი, ვინც ბოლოს პირველლიგელ ავარის „ტუშარეში“ თამაშობდა.

გორელები 22 იანვრიდან შეკრებას თბილისში გაივლიან, მანამდე კი რამდენიმე ტესტ-მატჩის გამართვასაც აპირებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

### ინგლისი
I ლიგა. XXVI ტური
ძრიუ 0:1 ლიდსი

### იტალია
სერია C/B
XX ტური
ლუკეზე 1:1 ანკონა

### საფრანგეთი
II დივიზიონი
XX ტური
ბრესტი 0:2 ლე ავრი

### ჰოლანდია
II დივიზიონი
გადადებული მატჩები
ტელსტარი 0:3 მაასტრიხტი
ვეენდამი 0:0 როზენდალი

### პორტუგალია
სუპერლიგა
XVI ტური
სეტუბალი 0:1 გიმარაეში

### ბელგია
თასის
1/8 ფინალი
სტანდარდი 2:0 გენკი
სერკლი 1:0 ბრიუგე

### ამხანაგური მატჩები
კოსტა რიკა 0:1 შვედეთი
კოტბუსი 1:2 კარლ ცაისი
კარლსრუე 3:1 ვეჰენი
ჰოფენჰაიმი 1:2 ბოზუმი
კადისი 1:6 ალემანია
დორტმუნდი 3:1 პადერბორნი
ოვანი : ჩინეთი გადაიდო

# ლევან ყენია: ყველაფერი ისეა, როგორც ველოდი

გადრე კეთილაძის ფოტო

**ნლეულს ბუნდესლიგის პირველი ტრანსფერი ლევან ყენიას „შალკეში“ გადასვლა იყო, რასაც, საქართველო რა მოსატანია, გერმანიაშიც საკმაო გამოხმაურება მოჰყვა. საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა იქაურ მედიას უთხრა კიდეც, რამდენიმე წლის შემდეგ „შალკეს“ ყენიას შენარჩუნება გაუჭირდება, ეს ბიჭი საოცარი ტალანტიაო. თუმც ლევანი „შალკეს“ ძირითად გუნდში 18 ოქტომბერს გადავა, ანუ როცა 18 წლის გახდება — ეს კონტრაქტითაა გათვალისწინებული. მანამდე კი ქართველი შემტევი „ხუმარების“ 19-წლამდელთა გუნდში თამაშობს და ამასწინათ მინი-ტურნირშიც იბურთავა...**

— ახალ წელს თბილისში, ოჯახში შევხვდი, 2 იანვარს კი გერმანიაში გამოვფრინდი და ჩამოსვლისთანავე კონტრაქტი გავაფორმე. ბედნიერი ვარ, ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება — გვითხრა ლევანმა, რომელსაც გერმანიაში დავუკავშირდით.

**— კლუბის ხელმძღვანელობამ რა გითხრა კონტრაქტის გაფორმებისას?**

— ჩვეულებრივ, დიდი აჟიოტაჟის გარეშე ჩაიარა ამ ყველაფერმა. „შალკეს“ მაისურა მომცეს, ჟურნალისტებმაც დამისვეს კითხვები და ეგ იყო. თუმც გერმანული ჯერ არ მესმის, ვსწავლობ.

**— კერძო მასწავლებელი გყავს?**

— სკოლაში ვსწავლობ. რაღაცრაღაცებს ვიგებ, საფეხბურთო ენაზე ლაპარაკს ვახერხებ.

**— ბაზაზე ცხოვრობ?**

— კი. მე და ერთი ჩემი თანაგუნდელი ერთად ვართ ბაზაზე, თუმც მალე ბინას მომცემენ.

**— ნაახალწლევს გერმანიაში 19-წლამდელთა მინი-ტურნირი გაიმართა, სადაც შენც ითამაშე...**

— ეს ტურნირი მთელი გერმანიის მასშტაბით ჩატარდა. მართალია, უფრო გასართობი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ კარგი თამაშები გამოვიდა. „შალკეს“ 19-წლამდელებმა ნახევარფინალში წავაგეთ.

**— შენი მონაგარი როგორია?**

— 3 გოლი გავიტანე, მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა ჩემით, ვარჯიშებზეც მაქებს და ვგრძნობ, რომ კარგი თვალით მიყურებს.

**— როგორია გერმანიაში თამაში? როგორსაც ელოდი, იმაზე რთული თუ პირიქით?**

— იოლად შევეგუე. როგორც ველოდი, ისეთი სიტუაციაა. საერთოდ არანაირი პრობლემა არ არის, ფიზიკურადაც არ მიჭირს. ახალ გარემოში ვარ, მაგრამ ასე მგონია, უკვე დიდი ხანია, აქ ვცხოვრობ.

**— და ერთი სული გაქვს, როდის გადახვალ „შალკეს“ ძირითად გუნდში...**

— რა თქმა უნდა. სანამ ეს მოხდება, უნდა ვიმუშაო. უფრო უნდა მოვძლიერდე და სათამაშო პრაქტიკა არ მოვიკლო.

**— 19-წლამდელთა ბუნდესლიგა როდის განახლდება?**

— ალბათ 10 თებერვალს, მანამდე კი ამხანაგური თამაშები გვექნება — რამდენიმე დღეში დაიწყება ტესტ-მატჩები. 6 თებერვალს კი საქართველოს ნაკრები ლატვიას მასპინძლობს და ძალიან მინდა, რომ მოვიგოთ.

**ილია ნანოგაჯვილი**

გიორგი ონიანი

ეროვნული ნაკრები

# სანამ ონიანი ცალკეა, სეთურიძე დაბრუნდა

**იენის** „კარლ ცაისის“ ქართველი მცველი გიორგი ონიანი დაშავდა და მკურნალობს.

იენელები თურქეთში არიან შეკრებაზე და ონიანიც გუნდის ფიზიოთერაპევტ მარკო ლომენთან იტარებს კურსებს. ონიანს საგანგებო პროგრამით ვარჯიში აქვს დადგენილი და თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მალე შეუერთდება გუნდს.

გუშინ კი „კარლ ცაისმა“ ტესტ-მატჩი გამართა „კოტბუსთან“ და 2:1 დაამარცხა. ონიანს, ცხადია, არ უთამაშია, ილია კანდელაკი და გიორგი სეთურიძე კი მეორე ტაიმში გამოჩნდნენ მოედანზე.

სხვათა შორის, ზაფხულის მერე ეს სეთურიძის პირველი თამაში იყო იენურ კლუბში — აქამდე ის მძიმე ტრავმას მკურნალობდა.

**კახა შალამბერიძე**

# გიორგი დემეტრაძე დინამოს წინააღმდეგ

**თბილისის** „დინამო“ ანთალიაშია და დღეს პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს კიევის „არსენალთან“.

კიელები ახლახან ჩავიდნენ თურქეთში და თან გიორგი დემეტრაძეც იახლეს — საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის „არსენალში“ დარჩენა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია. არადა, უკრაინულ პრესაში ერთი ხანობა ისიც დაიწერა, კიევური კლუბის ხელმძღვანელობა დემეთი უკმაყოფილოა და მას ტრანსფერზე აყენებსო, თუმცა დღევანდელი რეალობა სულ სხვაა და დღეს დემეტრაძე ალბათ თავისი მშობლიური გუნდის წინააღმდეგაც ითამაშებს.

„არსენალი“ ანთალიაში 26 იანვრამდე დარჩება, „დინამო“ კი სამი დღით ადრე დაბრუნდება თბილისში.

**კახა შალამბერიძე**

# სირაძის საგოლე პასი

**დავით სირაძის** „პადერბორნმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და ბუნდესლიგურ „დორტმუნდთან“ 1:3 წააგო.

ქართველი თავდამსხმელი ამჯერადაც შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე და, როცა ანგარიში 0:1 იყო, საგოლე პასით გამოირჩა — სირაძეს გარჯა გიუნტერმა დაუფასა — 1:1.

ამის შემდეგ დორტმუნდელებმა ორი გოლი გაიტანეს და საბოლოოდ, როგორც გითხარით, 3:1 მოიგეს.

**კახა შალამბერიძე**

# ალექსანდრე იაშვილმა სამკლავურით გაატანინა

**თურქულ** ბელეკში შეკრებაზე მყოფმა „კარლსრუემ“ ამხანაგურ მატჩში გერმანიის მეორებუნდესლიგელ „ვეენს“ 3:1 მოუგო.

ალექსანდრე იაშვილი შესვენების შემდეგ შევიდა მინდონზე, როდესაც ანგარიში 2:1 იყო.

„აკუნა“ მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად თამაშობდა და მესამე გოლი სწორედ მისი აქტიურობის შედეგად „ვეენის“ მცველმა საკუთარ კარში გაიტანა.

და კიდევ, ჩვენიანს ისევ კაპიტნის სამკლავური ეკეთა.

**ილია ნანოგაჯვილი**

# დვალიშვილი სკონტოში საკონტრაქტოდ ჩადის

**ამას წინათ** გამცნეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ლადო დვალიშვილი უცხოეთში აპირებს წასვლას.

როგორც თავად ლადომ გვითხრა, იყო უკრაინული ვარიანტი და რიგის „სკონტო“.

გუშინ შევიტყვეთ, რომ რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი ფეხბურთელი 16 იანვარს გაემგზავრება ლატვიაში და, სავარაუდოდ, „სკონტოსთან“ კონტრაქტსაც მალევე მოაწერს ხელს.

„ოლიმპიდან“ წასული ფეხბურთელებიდან ახალი გუნდი მხოლოდ მეკარე მიხეილ ალავიძემ მოძებნა. იგი თბილისის „ლოკომოტივის“ კარში ჩადგება.

დანარჩენები კი ჯერაც გაურკვევლობაში არიან.

**ნუკრი ლოლაძე**

# ელიავამ ხუთი თვე მოიშორა

**ზაალ ელიავა** კვლავ „სკონტოშია“ და ამხანაგური მატჩიც ითამაშა „აუდასთან“. რიგელებმა 3:0 მოიგეს, ქართველი მარცხენაფლანგელი კი შესვენების შემდეგ შევიდა მინდორზე.

ზაალს კარგა ხანი ტრავმა აწუხებდა და ხუთთვიანი პაუზის შემდეგ ითამაშა.

მეორე ქართველ სკონტოელს, დავით გამეზარდაშვილს არ უთამაშია.

**ილია ნანოგაჯვილი**

# გოგუა გადაწყდა

## ამისულაშვილის თანაგუნდელობა ნახევარი მილიონი დოლარი დაჯდა

**გოგიტა გოგუას** ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვლა ოფიციალურად დღე-დღეზე გაფორმდება — წერს რუსული პრესა.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ამ რამდენიმე დღის წინ შეუერთდა თავის ყოფილ კლუბს და თურქულ შეკრებაზე პირველივე ამხანაგურ მატჩში (უკრაინულ „კრივბასთან“ 3:1) გოლით გამოირჩა.

„ნალჩიკელებმა გოგუას კლუბ „ხიმკისთან“ შეთანხმებას მიაღწიეს. მალე ფეხბურთელთანაც მორიგდებიან და კონტრაქტიც გაფორმდება. ეს ტრანსფერი 500 ათასი დოლარი დაჯდა“ — იტყობინება რუსული „ტვოი დენ“.

გოგუამ წინა სეზონი რამენსკოეს „სატურნში“ გაატარა, თუმცა ამ კლუბმა მისი გამოსყიდვა ვეღარ შეძლო და ფეხბურთელიც „ნალჩიკში“ მივიდა, სადაც მას კიდევ ერთი ქართველი, ალექსანდრე ამისულაშვილი დახვდა.

**კახა შალამბერიძე**

# ასათიანმა ტესტები საუკეთესოდ ჩააბარა

**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ და მისი ქართველი ლიდერი მალხაზ ასათიანი თურქულ ქემერში არიან და საახალსეზონოდ ემზადებიან.

გუნდმა ფიზიკურ და ფუნქციონალურ მზადყოფნაში ტესტები ჩააბარა და უკვე სრულფასოვანი ვარჯიშებიც დაიწყო.

„ლოკომოტივის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, რკინიგზელთა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა გუნდი ორ ნაწილად გაყო — ასათიანი ტორბინსკისთან, ფინინიოსთან, სიჩოვთან, სამედოვთან, სენიკოვთან, სპახჩიანთან, გურენკოსთან, მამინოვთან, ბილიალეტდინოვთან, როდოლფოსთან და კოშჩთან ერთად მოხვდა და ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელიც ჰქონდა.

დღეიდან „ლოკომოტივი“ ორჯერად ვარჯიშებზე გადავა.

**კახა შალამბერიძე**

# მოულოდნელი სტუმარი

## მუჯირს ვარჯიში ჯორჯ ბუშმა ჩაუშალა

**აშშ-ის** პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დუბაიში ჩასვლამ გეგმები შეუცვალა დავით მუჯირს და მის „კრილია სოვეტოვს“. სამარელები შეკრებაზე არიან, თუმცა ბუშის ვიზიტმა ვარჯიში ჩაუშალა — უსაფრთხოების მიზნით არაბებმა ყველა ორგანიზაცია დაკეტეს, მათ შორის, სტადიონები.

„კრილიამ“ ერთი ამხანაგური მატჩის გამართვა უკვე მოასწრო — ტაშკენტის „ფახთაქორთან“ 2:3 წააგო, ოღონდ ამ შეხვედრაში მუჯირს არ უთამაშია. კრილიელთა კაპიტანს და მის რამდენიმე თანაგუნდელს მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა.

**კახა შალამბერიძე**

# კიევური დინამო 2 ორი ქართველით გამოითასებს

## დავით იმედაშვილის ზაკარპატიე გადაიდო

**კიევის** „დინამოს“ რომ სანკტ პეტერბურგში გასამართ „თანამეგობრობის თასზე“ სარეზერვო გუნდი მიჰყავს, ეს გეცოდინებათ.

„დინამო 2“-ის მწვრთნელმა იური კალიტვინცევმა საამტურნირო შემადგენლობა გამოაცხადა და მასში ორი ქართველიც მოხვდა: დავით იმედაშვილი და თემურ ფარცვანია.

იმედაშვილი კიეველთა საკუთრებაა, 6 თვე ლატვიურ „ვენტსპილსში“ გაატარა და როგორც შევიტყვეთ, უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ უპირებდნენ განათხოვრებას, თუმც ეს თუ მოხდება, მხოლოდ „თანამეგობრობის თასის“ შემდეგ.

ფარცვანიაზე კი გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით — ის 16 წლისაა და ამპლუით ცენტრალური მცველია.

**ილია ნანობაშვილი**



გოგი ფიფია (მარცხნივ) დნეპროპეტროვსკის აეროპორტში

# ფიფია და კობახიძე დნიპროს გაჰყვნენ

**გუშინ** ვწერდით, გოგი ფიფია დნეპროპეტროვსკის „დნიპრორს“ დუბლშემადგენლობაში მოემზადებაო, თუმცა გუნდის თავკაცმა სასიკეთოდ გადაიფიქრა და ჩვენიანი თურქულ შეკრებაზე წაიყვანა. ასე რომ, ეს უკვე ნაბიჯია კონტრაქტის გაფორმებისკენ.

ეს რაც შეეხება ფიფიას. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი სანდრო კობახიძე კი გუშინ შეუერთდა უკრაინულ კლუბს და მწვრთნელები მასაც შეკრებაზე ნახავენ საქმეში.

**ილია ნანობაშვილი**

# ცხადაძე ინტერნეტში იპოვეს

**ბაქოს** „სტანდარტის“ კაპიტანმა რაჯიბ ფაშარზადამ თქვა, კახა ცხადაძეზე ინფორმაცია ინტერნეტში მოვიძიეო. ის რომ ძლიერი ფეხბურთელი იყო, აქამდეც ვიცოდი და სამწვრთნელო საქმიანობაშიც წარმატებული კაცია, ყველას როდი შეუძლია, ზედიზედ ორ წელიწადში სხვადასხვა გუნდი გახადოს საქართველოს ჩემპიონი.

ამასობაში ცხადაძე „ბაკის“ ყოფილმა თავკაცმა ბოიუკაგა გაჯიევმაც ახსენა. შარშანწინ გაჯიევს და ცხადაძეს „სიონი“ — „ბაკის“ საევროთასო მატჩისას უთანხმოება მოუვიდათ.

„მაშინ მეც და ცხადაძეც უკმაყოფილონი ვიყავით მსაჯობით. გაუგებრობა დამთავრდა. ცხადაძეს წარმატებას ვუსურვებ „სტანდარტში“ და ძალიან მინდა, რომ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს“ — თქვა გაჯიევმა.

**ილია ნანობაშვილი**

ბოიუკაგა ფოტო

ასე დაიწყო ბოიუკაგა გაჯიევის და კახა ცხადაძის კონფლიქტი

# გიგიაძე და ნეფტიანიკი ერთმანეთს დაშორდნენ

**როგორც ჩანს,** ვასილ გიგიაძის და ახტირსკის „ნეფტიანიკის“ გზები საბოლოოდ გაიყარა — უკრაინული გუნდი შეკრებაზე უქართველოდ გაემგზავრა.

გიგიაძე კრივოი როგის „კრივბასიდან“ იყო განათხოვრებული „ნეფტიანიკში“, თუმცა ახალ გუნდში საქმეები ვერ აეწყო და უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ამის გამო მან ახტირსკიდან წასვლა გადაწყვიტა, თუმცა ჯერჯერობით ეს საკითხი ოფიციალურად არ გაფორმებულა.

გიგიაძის შეძენა ლუგანსკის „ზარიას“ სურდა, მაგრამ „კრივბასმა“ იმხელა თანხა მოითხოვა, რომ...

მოკლედ, ვასოს ამბავი ჯერჯერობით გაურკვეველია...

**კახა შალამბერიძე**

# შირერის ოქროს პასუხი. კრიშტიანუ რონალდუ

**გოლის შემდეგ აწეული მარჯვენა ხელი — ასეთი იყო ალან შირერის საფირმო ნიშანი და ეს დიდებულ ფორვარდს 370-ზე მეტჯერ გაუკეთებია — დღეს უკვე BBC-ის კომენტატორს „ნიუკასლის“ მწვრთნელობას სთავაზობენ, კლუბისას, რომელსაც კარიერის უმეტესი წლები შეალია. ესპანური „მარკა“ ალან შირერს ესტუმრა და ყოფილმა ფორვარდმა ინტერვიუში რონალდუს საუკეთესოობაზე, სამწვრთნელო ლიცენზიასა და „ბარსელონასთვის“ ნათქვამ უარზე ისაუბრა**

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— BBC-ზე ტელეკომენტატორად ვმუშაობ და თან სამწვრთნელო კურსებზე დავდივარ. საიმისოდ, რომ უმაღლეს დონეზე მწვრთნელობა შევძლო, სწავლის ბოლო ეტაპიღა დამრჩა გასავლელი. ახლა პრაქტიკული მეცადინეობები გვაქვს და შემიძლია ვთქვა, რომ მალე სათანადო ლიცენზია მექნება.

**— 90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდს ალბათ მრავალი დიდი კლუბი გეპატიჟებოდათ, თქვენ კი „ნიუკასლს“ უერთგულეთ. რატომ?**

— ამ გუნდში თამაში მუდამ ჩემი ოცნება იყო, რადგან ბავშვობიდან ვქომაგობდი, სტადიონზე დავდიოდი და ვცდილობდი, რომ მატჩი არ გამცდენოდა. ეს მხოლოდ სიყვარულის და ერთგულების ამბავია, როცა „ბლექბერნიდან“ „ნიუკასლში“ გადავდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, პრემიერლიგას მოვიგებდით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერ შევძელით, მაინც არ ვნანობ ამ ნაბიჯს და არც იმას, პრემიერლიგის დიდ კლუბებს უარი რომ ვუთხარი. „ნიუკასლში“ გატარებულმა წლებმა სასიამოვნო მოგონებები დამიტოვა.

**— უცხოეთშიც გიწვევდნენ...**

— რა თქმა უნდა. მაგალითად, როცა „ბლექბერნში“ ვიყავი, ბობი რობსონს სურდა ჩემი „ბარსელონაში“ გადაყვანა. ეს რომ მომხდარიყო, კარიერაში წინ ნაბიჯს გადავდგამდი, მაგრამ არც ერთი ასეთი შემოთავაზება სერიოზულად არ მიმიღია. მეც და ჩემი ოჯახიც ინგლისში თავს საუცხოოდ ვგრძნობდით.

**— როგორ შეაფასებთ დევიდ ბექემის „რეალიდან“ „ლოს ანჯელესში“ გადასვლას?**

— ალბათ საამისო მიზეზი ჰქონდა. მას ახლაც ძალუძს უმაღლეს დონეზე თამაში, თუნდაც ესპანეთში ან ინგლისში, მაგრამ სპორტული მხარის გარდა ფეხბურთში სხვა რამეებიც არსებობს. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ოჯახის გამო მიიღო და რაკი ასეა, სწორად მოიქცა.

**— თქვენი აზრით, გასულ წელს „ოქროს ბურთს“ ვინ იმსახურებდა?**

— კრიშტიანუ რონალდუ. ვფიქრობ, რომ 2006 წლის ჩემპიონატიდან ის მუდმივად უმატებდა და თავის უპირატესობას თითოეულ მატჩში ამტკიცებდა. მართალია, რონალდინიო დიდებულია, მესი ბურთით ჯადოქრობს, კაკა კი სრულყოფილია, მაგრამ ჩემთვის რომ ეკითხათ, ამ ოთხეულიდან რონალდუს დავასახელებდი. მისი ფინტები, ორიგინალურობა ლიდერის თვისებები უმაღლეს კლასზე მეტყველებს.

**— ინგლისის და ესპანეთის ჩემპიონატები მსოფლიოში უძლიერესად ითვლება, მაგრამ ამ ქვეყნების ნაკრებები დიდ ტურნირებზე ვერაფერს აღწევენ. მიზეზი?**

— მიზეზი მარტივია: მათი სათამაშო დონე არ არის საჩემპიონო და ამიტომაც ვერაფერს ვერ იგებენ.

**— „ლივერპულში“ რაფაელ ბენიტესის მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

— საქმის კარგი მცოდნეა, პროფესიონალია და ეს ჩემპიონთა თასის მოგებითაც დაამტკიცა. ერთადერთი, რაც მის გუნდს აკლია, პრემიერლიგის ჩემპიონობაა და ალბათ ამასაც ორ-სამ წელიწადში მიაღწევს.

**— ფერნანდო ტორესი პრემიერლიგაში გაიბრწყინებს?**

— დარწმუნებული ვარ. აქამდე კარგად თამაშობდა და ვერ ვხედავ მიზეზს საიმისოდ, რომ უკლოს. სწრაფია, მსუბუქია და საგოლე ალღო არ დაეწუნება. თან ისეთ დროს გატანა ეხერხება, როცა გუნდს უჭირს.

**— ამჟამად რომელი ევროპული გუნდის ფეხბურთი მოგწონთ?**

— „არსენალის“. მათი თამაშის ხილვა სასიამოვნოა. სეზონი კარგად დაიწყეს, ბევრი გოლი გააქვთ და ლამაზი ფეხბურთით იგებენ. „მანჩესტერიც“ შთამბეჭდავია და თუ ასე გააგრძელებს, ამ სეზონში ერთ ჯილდოს მაინც დაისაკუთრებს.

**— ფაბრეგასზე რას იტყვით?**

— იგი უეჭველად მთავარი ფიგურაა. სხვებზე უკეთ და სწრაფად კითხულობს თამაშს და მოედნის ისეთ ადგილებში ჩნდება, სადაც არავინ ელის. თან ამ სეზონში, ნახევარმცველის კვალობაზე ბევრი გაიტანა.

**— შეიძლება ითქვას, რომ რუნი შირერის მემკვიდრეა?**

— ცხადია, ამჟამად უეინ რუნის ეპოქაში ვცხოვრობთ. უეინი ინგლისის ნაკრების ნომერ პირველი ფორვარდია. ძალიან ნიჭიერია და დარწმუნებული ვარ, ჯილდოებით დახუნძლული კარიერა ექნება.

**— გული არ გწყდებათ, რომ „ნიუკასლში“ ვერაფერი ვერ მოიგეთ?**

— არა. კმაყოფილი ვარ იმით, რაც გავაკეთე. რა თქმა უნდა, სურვილი დიდი იყო, მაგრამ არ ვნანობ და არც გული მწყდება.

*მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელთა ათეული ალან შირერის ვერსიით:*

1. **ლიონელ მესი** — ერთნაირად კარგად შეუძლია თამაში ფლანგებზე და ცენტრში. ძალიან სწრაფი და ტექნიკურია. შეტევის საუცხოო დამრულებელია და ფანტასტიკურია.

2. **უეინ რუნი** — კიდევ ერთი გენიალური ფორვარდი. მესის ჰგავს იმით, რომ ნებისმიერი მხრიდან შეტევა ეხერხება.

3. **რუუდ ვან ნისტელროი** — „ადამიანი გოლი“. საჯარიმო მოედნის კაცია. თანამედროვე თავდამსხელებიდან ალბათ ყველაზე მეტად ვან ნისტელროი მგავს.

4. **დიდიე დროგბა** — ძალისმიერი ყაიდის ფორვარდია. ჯანის ხარჯზე საჯარიმოში მცველებს ჩაგრავს. „ორფეხაა“ და თავითაც ბრწყინვალეა. თითქმის სრულყოფილია.

5. **ტიერი ანრი** — ყველაზე სწრაფია. როცა სიჩქარეს აკრეფს, ვერცერთი გუნდის დაცვა ვერ შეაჩერებს. დახვეწილი ინტელიგენტია. ფაქტობრივად, მსახაობია.

6. **კრიშტიანუ რონალდუ** — ხალხი სტადიონზე მის სანახავად დადის, რადგან შესანიშნავ სპექტაკლებს დგამს. ისეთი ფინტები ეხერხება, რომ მეტოქე მხოლოდ თვალების დახამხამებასღა ასწრებს.

7. **რაული** — უმეტესად მარცხნიდან უტევს, მაგრამ, ჩემი აზრით, ნაღდი ცენტრფორვარდია. მუშაა და შეუძლია, გოლი არაფრისგან შექმნას, გატანა კი არასოდეს მოწყინდება.

8. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** — ზემოთ ჩამოთვლილთაგან სრულიად განსხვავებულია. ბურთით სასწაულებს ახდენს, მაგრამ ბოლომდე ჯერ არ გახსნილა. „ინტერში“ თავისი ადგილი იპოვა და, ვფიქრობ, სწორ გზაზე დგას.

9. **ფერნანდო ტორესი** — თუ ისე გააგრძელა, როგორც „ლივერპულში“ დაიწყო, მისი დახმარებით ეს გუნდი მალე პრემიერლიგას მოიგებს.

10. **სერხიო აგერო** — კარგად არ ვიცნობ და მისი თამაში ბევრჯერ არ მინახავს, თუმც საჯარიმოში დიდებულია, ძალიან სწრაფია და რონალდუზე არანაკლები ფინტები ეხერხება.

# ნიუკასლელთა მარკირების გეგმა

**„ნიუკასლ იუნაიტედმა“** მწვრთნელის თანამდებობა მარკ ჰიუზს შესთავაზა. მართალია, ბოლო ხანს ყველაზე აქტუალური თემა „სენტ ჯეიმს პარკზე“ კევინ კიგანის დაბრუნება გახლდათ, მაგრამ თურმე ნუ იტყვით და, სინამდვილეში, „კაჭკაჭების“ თავმჯდომარეს, კრის მორტს, ჰიუზთან დაუწყია მოლაპარაკებები.

ამავდროულად, მოგეხსენებათ, ჰიუზი „ბლექბერნ როვერსის“ თავკაცია და „ნიუკასლში“ მის გადასვლას ჯერ ბლექბერნიდან წამოსვლა უნდა უძღოდეს, თუმცა ქომაგებს უელსელის ერთი ფრაზა აფიქრებინებს, რომ იგი თავის ახლანდელ გუნდს იოლად შეელევა. ფრაზა ასეთი გახლავთ: „ფეხბურთი ისეთი რამ არის, რომ მასში მოტრიალე ადამიანმა არასოდეს უნდა თქვა არასოდეს“.

ასე და ამგვარად, მას მერე, რაც ჰარი რედნაპმა „პორტსმუთის“ მიტოვება და ჩრდილოეთ ინგლისში გადაბარგება იუარა, ჩრდილოელებმა ჰიუზს მიმართეს.

რამდენადაც ინგლისური მედიისთვის არის ცნობილი, „ნიუკასლის“ დირექტორთა ერთი ნაწილი ყველაზე მეტად მაინც კიგანისა და ალან შირერის წყვილზე ოცნებობდა, თუმცა, როგორც ირკვევა, მათ არც კიგანისთვის მიუმართავთ და არც შირერისთვის.

„კაჭკაჭთა“ ახალი მწვრთნელის ბედის გარკვევისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხვალ უცხოეთიდან ბრუნდება კლუბის მეპატრონე მაიკ ეშლი, რომელიც, სავარაუდოდ, მეპატრონეთათვის ჩვეული რიხით გადაწყვეტს კიდეც, ვინ უნდა გახდეს გუნდის ახალი თავკაცი, თუმცა, ზოგადად ცნობილია, რომ ის კრის მორტის მოსაზრებებს ენდობა ხოლმე. ბოლოსდაბოლოს, სემ ალარდაისის თანამდებობიდან გაშვება პირადად მორტის მოფიქრებულია და ეშლიმაც, როგორც შედეგიდან ჩანს, თავმჯდომარეს დაუჯერა.

ამასობაში კი „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელის მოვალეობას ნაიჯელ პირსონი ასრულებს და დარწმუნებულია, რომ კლუბის ხელმძღვანელები სერიოზულად შეცდნენ — ალარდაისს საქმე ერთადერთი სწორი მიმართულებით მიჰყავდა.

„მე ვარ მოწმე იმ მუხლჩაუხრელი შრომისა, რომელსაც ჩვენი გუნდი ალარდაისის ხელმძღვანელობით ეწეოდა — უთხრა პირსონმა ჟურნალისტებს — ეს გახლდათ შორსმიმავალი გეგმა, მყარი მომავლის ასაგებად ჩაყრილი საფუძველი. „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფანებს სტაბილურობა სჭირდებათ. თავად გახლდით იმ ჯგუფის წევრი, რომელიც აქ დიდი გუნდის მშენებლობით იყო დაკავებული. პოტენციურად „ნიუკასლი“ მართლაც დიდი გუნდია, მაგრამ ჯერ ამ სტატუსამდე ნამდვილად არ გახლავთ ასული. ვწუხვარ, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა თანამდებობიდან გაუშვეს ისეთი მწვრთნელი, რომელიც სერიოზულ პროექტს ახორციელებდა“.

**პაპუნა კედია**

მარკ ჰიუზი

# იხვმა დაიწყო

სილვიო ბალდინი

**ახალ წელს სერია A საინტერესო, დაძაბული და უხვგოლიანი მე-18 ტურით დაგვიბრუნდა. რონალდომ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ადრიან მუტუმ, მარკო ბორიელომ და ფრანჩესკო ტავანომ დუბლები გაახერხეს... ყველაფერს დაწვრილებით channel4.com-ის მორიგი ჩანახატიდან შეიტყობთ**

ამანტინო მანსინი

## გამარჯვებულები

*ალეშანდრე პატო* (მილანი) — 18 წლის ფეხბურთელის ტრანსფერს ასეთი დიდი გამოხმაურება და მის ათამაშებას ამგვარი მოლოდინი ალბათ არასდროს ჰქონია. „იხვმა“ მოლოდინი გაამართლა, ჩინებულად გაისარჯა და სადებიუტო მატჩში გოლიც გაიტანა. „ნაპოლისთან“ მოგებული შეხვედრის შემდეგ, „მილანის“ გახარებული ფანების დიდი ნაწილის დარად, ალბათ პატოსაც გაუჭირდა ღამე დაძინება...

*ამანტინო მანსინი* (რომა) — რეაქტიულმა ბრაზილიელმა კიდევ ერთი მესიჯი გაუგზავნა „ჯალორისის“ ხელმძღვანელობას, თუ რატომ ითხოვს ხელფასის მომატებას. მან „ატალანტასთან“ შეხვედრაშიც გაიბრწყინა და ლამაზი გოლით მოაგებინა „გლადიატორებს“.

*სილვიო ბალდინი* (კატანია) — „ელეფანტის“ მწვრთნელი რამდენიმე კვირა ამბობდა, რომ მისთვის და გუნდისთვის „იუვენტუსთან“ შეხვედრა განსაკუთრებული იყო, და რომ სიცილიელებს ტურინელთა დამწუხრება შეეძლოთ. ასეც მოხდა, „კატანია“ ბოლო წუთამდე უგებდა „ბიანკონერის“ და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა. 49 წლის სპეციალისტი მართლაც მშვენივრად მუშაობს და საკუთარ კედლებში „კატანია“ არავისი ეშინია.

## დამარცხებულები

*ტიაგუ მენდეში* (იუვენტუსი) — პორტუგალიელმა ნახევარმცველმა მორიგი მატჩი ჩააგდო და მოჰამედ სისოკოს „იუვეში“ გადმოსვლისთვის გზა გაუხსნა. თუ ტიაგუს ტურინში დარჩენა და გუნდში თავისი ადგილისთვის ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი, ამაზე გაცილებით უკეთ უნდა გაისარჯოს.

*დელიო როსი* (ლაციო) — წინა სეზონში რომაელთა მწვრთნელი თითქმის ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ახლა კი არაფერი გამოსდის. „ჯენოასთან“ საშინაო მარცხის შემდეგ „ბიანკოჩელესტი“ გასავარდნ ზონასთან უკვე ძალიან ახლოსაა.

*ბრუნო ჩირილო* (რეჯინა) — მისი დაბრუნება „ამარანტოში“, რბილად რომ ვთქვათ, წარმატებული ვერ გამოდგა. რეჯოკალაბრიელები თავისთვის მნიშვნელოვან მატჩში მე-2 წუთზევე დაწინაურდნენ, მაგრამ ჩირილომ სამ წუთში სულელურად „აიკიდა“ პენალტი და საბოლოოდ — 1:1.

## გოლები

*ალეშანდრე პატო* — ჯუზეპე ფავალის გრძელი პასისას „იხვმა“ ბურთთან ოსტატური პირველი შეხებით მაურიციო დომიცი ჩამოიცილა, მეორეთი კი ჯენარო ლეცო დატოვა უქმად და სერია A-ში თავისი პირველი გოლი გაიფორმა.

*ზლატან იბრაჰიმოვიჩი* (ინტერი) — „იბრა“ კვლავ ბრწყინვალე გახლდათ. ერთხელ რობერტო მანჩინიმ თქვა, თავისი სიძლიერისა და ტექნიკის წყალობით ზლატანს ბურთის ნებისმიერ სასურველ ადგილას გაგზავნა შეუძლიაო. ჰოდა, ინებეთ — „იბრაკადაბრამ“ ბურთი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და შორეულ მაღალ კუთხეში საოცრად გაისროლა.

*კლაუდიო ბელუჩი* (სამპდორია) — ანტონიო კასანომ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, როგორი ფანტასტიკური შეუძლია, იყოს, როცა ნორმალურად და გუნდურად თამაშობს. მისი და ბელუჩის ძალიან ლამაზი კომბინაცია „ბოლონიას“ ექსფორვარდმა მშვენიერი დარტყმით დააგვირგვინა.

## რიცხვები

*„სან სიროს“ ტაბუ:* როგორც იქნა „მილანმა“ ნავსი გატეხა და მიმდინარე სერია A-ში საკუთარ კედლებში მოიგო. თან ბრწყინვალედ, „ნაპოლისთან“ 5:2. აქამდე „რომონერი“ ერთადერთი გუნდი იყო იტალიის ჩემპიონატში, რომელსაც შინ გამარჯვება არ ჰქონდა და კარლო ანჩელოტის შეგირდებს მხოლოდ 3 გოლი გაუტანიათ „ჯუზეპე მეაცაზე“.

*გენუური სიურპრიზი:* „ჯენოა“ ალბათ თავადვე დარჩა ყველაზე გაკვირვებული, როცა „ლაციოსთან“ მატჩის შემობრუნება და „სტადიო ოლიმპიკოდან“ 3 ქულის წამოღება შეძლო. „გრიფონის“ „ბიანკოჩელესტისთვის“ 38 სტუმრობიდან ოდენ სამჯერ მოეგო და აქედან ბოლოს — 1959 წლის 11 იანვარს 4:2.

*„ტორინოს“ პრობლემა:* „ტორინოსთვის“ „ლივორნო“ ისევ ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქედ რჩება. ტურინელებს შინ ტოსკანელთათვის 1949 წლის 30 იანვრის (1:0) მერე არ მოუგიათ. მაშინდელი საოცარი „ტორო“ სამი თვის მერე იმ ავადსახსენებელ ავიაკატასტროფაში მოყვა, რომელშიც ფაქტობრივად მთელი გუნდი დაიღუპა.

**ძოკი ძანდელაძი**

# ვინ ხდება ჩემპიონი? ვისაც ზლატანი ჰყავს

**ბოსნიური** წარმომავლობის შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამბობს, ყოველი მატჩის მოგება მსურს და ამაზე ფიქრის შეწყვეტას არც ვაპირებო. „იბრაკადაბრას“ თქმით, მისი პროგრამა-მინიმუმი „ინტერში“ დიდი ხნით დარჩენა და კლუბთან ერთად მოჯრით კიდევ მრავალი სკუდეტოს მოგებაა.

„სეზონის მეორე ნახევარი გადამწყვეტია. ცხადია, როგორც იტალიის მასშტაბით, ასევე ევროპაში. ჩვენ სამ ტურნირში ვმონაწილეობთ და ეს რთულია, მაგრამ, საბედნიეროდ, „ინტერი“ მაღალი კლასის უამრავი ფეხბურთელითაა დაკომპლექტებული, ჩვენ ერთმანეთის შეცვლა შეგვიძლია. რაც შეეხება ჩემს ქებას, რასაკვირველია, ეს მსიამოვნებს, მაგრამ კომპლიმენტებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან მარტო ერთ სეზონსა და ერთ მატჩში გამარჯვებით არ ვკმაყოფილდები, სულ მოგება მინდა“ — განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ „აიაქსის“ ყოფილი ფორვარდი „ინტერში“ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ „იუვენტუსიდან“ გადაბარგდა. ბოლო პერიოდში იგი მართლაც ბრწყინვალედ თამაშობს და ყურადღების ცენტრშიც მუდმივად ხვდება.

„თუკი სკუდეტო ამჯერადაც მოვიგეთ, გამოვა, რომ იტალიაში ჩემი მეორე ჩემპიონობა იქნება ამდენივე ცდაში. ცხადია, „იუვენტუსთან“ ერთად მოპოვებულ სკუდეტოებსაც თუ ჩავთვლით. „აიაქსში“ ჩემი ბოლო სეზონის ჩათვლით, ამსტერდამელთა რიგებში ხუთი წელი გავატარე და ამდენჯერვე გავხდი ჰოლანდიის ჩემპიონი. „ინტერის“ გეგმაც მსგავსია — უახლოეს წლებში მიჯრით, მაქსიმალურად ბევრი ტიტულის მოგება. ვფიქრობ, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოში საუკეთესო გუნდი გვყავს. აქ ბედნიერი ვარ და მინდა, „ნერაძურიში“ დიდი ხნით დავრჩე — 2012 წლამდე მაინც“ — დასძინა იბრაჰიმოვიჩმა.

**ძოკი ძანდელაძი**

# მარიო ბერეტამ მსაჯებს დაუმიზნა

**სერია A-ს** ერთპიროვნულმა ლიდერმა მილანის „ინტერმა“ ახალი წელი მოგებით დაიწყო. „ნერაძურიმ“ „სიენასთან“ სტუმრად კარგად ითამაშა და 3:2 იმარჯვა, თუმცა ტოსკანელთა მწვრთნელი მარიო ბერეტა თვლის, რომ მისი გუნდი მსაჯებმა დაჩაგრეს.

„პირველი გოლი არარსებული პენალტიდან გავუშვით. მეორეც ძალიან საკამათო გახლდათ — საკითხავია, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ბოლოს კი მსაჯმა ძალიან ცოტა დრო დაამატა, არადა, ბევრი შეჩერებები იყო. არბიტრებმა ჩვენს საზიანოდ საკამათო გადაწყვეტილებები „იუვენტუსთან“ მატჩშიც მიიღეს, ეს ძალიან ცუდია. დახმარებას არ ვითხოვთ, უბრალოდ, გვინდა, ჩვენც ისე გვეკიდებოდნენ, როგორც სხვა კლუბებს. მთლიანობაში შეგირდებით კმაყოფილი ვარ, მინდორი თავაწეულებმა დავტოვეთ. სამწუხაროა, რომ ქულაც ვერ მოვიპოვეთ. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მეტოქესთან გახსნილ ფეხბურთს ვთამაშობთ, „ინტერთანაც“ კი“ — აღნიშნა ბერეტამ.

„ნერაძურის“ თავკაცი რობერტო მანჩინი: „მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ საშობაო-საახალწლო შესვენების შემდეგ ისევ მოგვეგო. „სიენამ“ გვარიანი წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ მახარებს, რომ მეტოქე მაინც გავხეტეთ. მდევრებთან საგრძნობი უპირატესობა კი გვაქვს, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური ხომ არ დარჩენილა. წინ კიდევ 20 მატჩია და მოდუნების უფლება არ გვაქვს. „რომა“ ძალიან სახიფათოა. „იუვეს“ ცოტა უჭირს, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, თებერვალში ტურინელებს ჩემპიონთა ლიგაში სათამაშო არ ექნებათ და სწორედ ამ პერიოდში გაგვიჭირდება“.

„ინტერის“ ლიდერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი „სიენასთანაც“ ბრწყინვალე იყო. მან დუბლი მიითვალა.

**ძოკი ძანდელაძი**

# მილანს ხუთიანი, პატოს ათიანი

**მიმდინარე** სერია A-ში „მილანს“, როგორც იქნა, ეღირსა საშინაო გამარჯვება. „როსონერიმ“ ძალიან შთამბეჭდავად ითამაშა და „ნაპოლის“ დამაჯერებლად, 5:2 მოუგო.

„ცოტა გავრისკეთ, მაგრამ სეზონის ამ ნაწილში ეს აუცილებელი გახლდათ, რადგან უნდა მოგვეგო და ეს შევძელით კიდეც. ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, განსაკუთრებით რონალდომ. ტრავმების გამო თითქმის ექვსთვიანი უქმობის მერე მან პირველად 2 იანვარს ივარჯიშა და უკვე ასე კარგად გაისარჯა. ვერაფერს იტყვი, იგი მართლაც ფენომენია“ — განაცხადა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„როსონერიმ“ თავდასხმაში ბრაზილიური ტრიოთი ითამაშა — კაკა-პატო-რონალდო. შეტევებში სხვა ფეხბურთელებიც ხშირად ერთვებოდნენ კლარენს ზეედორფის თამადობით, რომელიც კვლავაც საოცარი გახლდათ.

„აქამდე ასეთი ტაქტიკით, ფაქტობრივად, არ გვითამაშია, მაგრამ ამიერიდან ამ სისტემას ხშირად გამოვიყენებთ და უფრო დავხვეწთ კიდეც. „ნაპოლიმ“ პირველი გოლი იმიტომ გაგვიტანა, რომ იმ მომენტში დაუბალანსებლები ვიყავით. მერე კი კახა კალაძემ დაუშვა შეცდომა, რომელსაც პენალტი მოჰყვა. რონალდომ და პატომ წყვილში ჩინებულად ითამაშეს. ალეშანდრეს დიდებული დებიუტი გამოუვიდა. იგი მართლაც ძალიან ნიჭიერია, აქვს პასი, დარტყმა, მოედნის ხედვა... თან კიდევ მოუმატებს. ბევრი იმუშავა მასიმო ამბროზინიმაც. მინდა, რომ კლარენს ზეედორფი სულ ასე თამაშობდეს. ჩემთვის იგი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახლავთ. ზეედორფმა თითქმის ყველა შეტევაში მიიღო მონაწილეობა. კლარენსი თავს გამთამაშებლად თვლის და ამ პოზიციაზე მართლაც ბრწყინვალეა. გასულ წელს მან ჩემპიონთა ლიგის მოგებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, თუმც ზოგჯერ, ტაქტიკიდან გამომდინარე, მასაც და სხვებსაც უწევთ დათმობებზე წასვლა და სხვადასხვა პოზიციაზე თამაში“ — დასძინა ანჩელოტიმ.

ალეშანდრე პატო: „გოლს ჩემს ოჯახსა და შეყვარებულს ვუძღვნი. ძალიან გამიხარდა, რომ გავიტანე და წარმატებული დებიუტი გამომივიდა. ყველამ კარგად ვითამაშეთ. რონალდო ნამდვილი ფენომენია. იგი ყოველთვის ჩემი კერპი გახლდათ და მასთან ერთად თამაშზე ვოცნებობდი. რამდენ გოლს გავიტან? არ ვიცი, თუ სიზმარში ვნახე, გეტყვით“.

„ათბალიანი სისტემით პატოს 10-ს დავუწერდი, თუ გავითვალისწინებთ იმ წნეხს, რომელსაც ახალგაზრდა განიცდიდა. არც ის დავივიწყოთ, რომ ალეშანდრე ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და ადვილი არ არის, „სან სიროზე“ სადებიუტო მატჩში ასე ითამაშო“ — განაცხადა რონალდომ.

„ნაპოლის“ თავკაცი ედი რეხა: „სიმართლე გითხრათ, ამ ბავშვისგან ჩვენთან მატჩში ბევრს არაფერს ველოდი, მაგრამ მან ნამდვილად გამაოცა. რასაკვირველია, ასე მოთამაშე „მილანის“ წინააღმდეგ თავს ვერაფრით დაიცავ. იმედი მქონდა, რომ „როსონერის“ ზეწოლას უფრო დიდხანს გავუძლებდით, მაგრამ მეტოქეს ძალიან ბევრი მომენტი შევაქმნევინეთ და მესამე გოლი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გავუშვით“.

ძალიან გახარებული და კმაყოფილია „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი, რომელმაც ტრანსფერებზეც ისაუბრა და აღნიშნა, ჯანლუკა ძამბროტას ალბათ დავიმატებთ, მაგრამ რონალდინიოს არაო.

„ნამდვილად ვფიქრობ, რომ ძამბროტას ივნისში დავიმატებთ. ვიცი, გადმოსვლა მასაც სურს და არ მგონია, „ბარსელონასთან“ შეთანხმების მიღწევა გაგვიგრძელდეს. რაც შეეხება რონალდინიოს, გავიგე, იგი „ჩელსიში“ გადადის და, სიმართლე გითხრათ, გული არ დამწყვეტია. ახლა მას რთული პერიოდი უდგას, ჩვენ კი თავდასხმაში საკმარისი რაოდენობის ფეხბურთელი გვყავს“ — თქვა ბერლუსკონიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# როსის წყალი შეუდგა
## ბორიელო უკან მობრუნდება მილანში?

დელიო როსი

**რომის** „ლაციოს“ თამაში ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს. კვირას „ბიანკოჩელესტი“ კი უგებდა „ჯენოას“, მაგრამ საბოლოოდ 1:2 წააგო. დედაქალაქლები უკვე ძალიან ახლოს არიან გასავარდნ ზონასთან და დელიო როსის გაშვებაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ თავად მწვრთნელი ოპტიმისტურ განწყობაზეა.

„გუნდს მართლაც სჭირდება ახალი სულის ჩაბერვა, მაგრამ ჩემს მოხსნაზე საუბარი არ არის. ჩვენს თამაშში და განწყობაში რაღაც უნდა შევცვალოთ, რათა ეს კრიზისი ერთად გადავლახოთ. სწორედ ამაზე ვესაუბრე კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსა და სპორტულ დირექტორ ვალტერ საბატინის. „ჯენოას“ ვუგებდით, მატჩის სადავეები ჩვენს ხელში იყო და სტენდარდოს წაქცევისათვის პენალტი რომ დაენიშნათ... სამწუხაროდ, აქეთ დაგვაჯარიმეს ტყუილი თერთმეტმეტრიანით. თავს არ ვიმართლებ, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ“ — განაცხადა როსიმ.

გენუელთაგან „ლაციოს“ ორივე გოლი მარკო ბორიელომ გაუტანა. მიმდინარე სეზონში მას უკვე 10 გოლი მოუგროვდა. მშვენივრად მოთამაშე ბორიელოს „მილანი“ აკვირდება და იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონში იგი „როსონერის“ დაუბრუნდება. 25 წლის ფორვარდი სანახევროდ „მილანს“ ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ მილანელებმა ბორიელო „ჯენოას“ სანახევროდ მას მერე მიჰყიდეს, რაც ნიჭიერი თავდამსხმელი დოპინგის მიღებაში ემხილა.

„ძალიან ბედნიერი ვარ „ჯენოაში“. აქ შვილივით მიმიღეს. განსაკუთრებით კლუბის პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზის მადლობელი ვარ, რომელმაც მაშინ ამიყვანა, როცა ჯერ კიდევ დისკვალიფიცირებული ვიყავი. მახარებს „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისგან საქებარი სიტყვების გაგონებაც. თუ „როსონერი“ ისურვებს, ვფიქრობ, ჩემი „სან სიროზე“ დაბრუნება პრობლემა არ იქნება. თუმცა ვიცი, რომ გენუელებს ჩემი შენარჩუნება უნდათ და ახლა მხოლოდ „გრიფონიზე“ ვფიქრობ“ — აღნიშნა ბორიელომ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ფრანგული სიდი ნიცასთვის

**24 წლის** ფრანგი მცველი, ჯერალდ სიდი, „ბოლტონიდან“ [illegible]ბლოში დაბრუნდა და „ნიცასთან“ სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი „ბოლტონში“ „ბორდოდან“ შარშან ივლისში გადავიდა. პრემიერლიგაში შვიდ, უეფას თასზე კი ხუთ მატჩში ითამაშა, მაგრამ მეტი უნდოდა და ამიტომაც მიატოვა ინგლისი. გასულ შაბათს „ვალანსიენიას“ დამარცხების (1:0) შემდეგ „ნიცამ“ ჩემპიონატში მეხუთე ადგილს უწია და წაუგებელი სერია რვა მატჩამდე გაზარდა.

## კენედიმ მისამართი შეიცვალა

**ავსტრალიის** ნაკრების ფორვარდი ჯოშუა კენედი „კარლსრუემ“ „ნიურნბერგიდან“ შეიძინა. „კლუბები კონტრაქტზე შეთანხმდნენ“ — დაადასტურა ნიურნბერგელთა სპორტულმა დირექტორმა მარტინ ბადერმა. ავსტრალიელმა ახალ გუნდთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. კენედი „ნიურნბერგში“ 2006-ის ივლისიდან იყო და 12 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

## ორი ნდიაე ზედმეტია

**„მარსელის“** მცველმა ლეიტი ნდიაიემ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. 22 წლის ფეხბურთელმა ამ სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და ამჟამადაც ტრავმირებულია, მაგრამ მწვრთნელს მისი ეიმედება და ამიტომაც დაიტოვეს. სენეგალელ ლეგიონერს ნახევარმცველობაც შეუძლია. ლეიტის მოგვარე, მეორე სენეგალელი მამე კი „მარსელმა“ ზაფხულამდე მეორე დივიზიონის „ლიბურნს“ ათხოვა.

## ბრიუსი და ჰონდურასი

**„უიგანმა“** ჰონდურასის „დეპორტივოდან“ ნახევარმცველი უილსონ პალასიოსი იყიდა, კლუბებმა კი გარიგების ფასი არ გაამხილეს. 23 წლის ფეხბურთელმა პრემიერლიგის გუნდთან სამწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა. პალარიოსი „დეპორტივოდან“ „ბირმინგემს“ ჰყავდა ნათხოვარი სეზონის პირველ ნახევარში, როცა ბირმინგემელებს სტივ ბრიუსი წვრთნიდა. ბრიუსი „უიგანში“ გადავიდა და ფეხბურთელიც გაიყოლა.

## კრესპო გაწყდა

**„სევილიას“** მცველს, ხოსე ანხელ კრესპოს „ბილბაოსთან“ მატჩში კუნთი გაუწყდა და ერთი თვე მკურნალობა გამოუწერეს. 20 წლის ფეხბურთელმა კლუბთან პროფესიული კონტრაქტი იანვრის დასაწყისში გააფორმა, მას შემდეგ, რაც ყვრიმალის გატეხილი ძვლის გამო ოთხი კვირა გაუცდა. კრესპომ ამ სეზონში შვიდი მატჩი ითამაშა, ჩემპიონთა ლიგაში მისი დებიუტი კი ნოემბერში „არსენალთან“ შედგა.

## ტიმერი გრძელდება

**„ფეიენოორდის“** მეკარემ ჰენკ ტიმერმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და როტერდამში 2009-ის ივნისამდე დარჩება. ტიმერი „ფეიენოორდში“ „ალკმაარიდან“ 2006 წლის ზაფხულში გადავიდა და პირველი ნომერი მეკარე გახდა. ჰოლანდიის ნაკრებში მას ოთხჯერ უთამაშია. 36 წლის მეკარე როტერდამულ კლუბში 2001-02-ის სეზონში იყო, საიდანაც ჯერ „აიაქსში“, მერე კი „ალკმაარში“ აღმოჩნდა.

## მიულერი ათალიის კოტბუსში

**„კოტბუსმა“** ბერლინის „ჰერტადან“ ნახევარმცველი კრისტიან მიულერი გადაიბირა. გარიგების ფასი უცნობია, ფეხბურთელი კი უკვე ათალიაშია, სადაც მისი ახალი გუნდია შეკრებაზე. „მიულერი ძალიან ნიჭიერია და მჯერა, რომ თავს კარგად წარმოაჩენს“ — განაცხადა კოტბუსელთა გენერალურმა მენეჯერმა შტეფან ჰაიდრიხმა. მიულერამდე გუნდმა პაპადოპულოსი, იელიჩი, რადელიჩი და ვასილიევიჩი იყიდა.

## ფრედი რვა ღირს

**„ლიონისა“** და ბრაზილიისნაკრების ფორვარდი ფრედი უახლოეს დღეებში შესაძლოა „მიდლსბროში“ გადავიდეს. „ინდეპენდენტის“ ცნობით, 24 წლის ფეხბურთელში პრემიერლიგის კლუბი 8 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს, ფულს კი „მიდლსბრო“ სტიუარტ დაუნინგის ტრანსფერიდან ელის, რომლის შეძენაც „ტოტენჰემს“ სურს და 12 მილიონის გადამხდელია. „ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ დაადასტურა, რომ ფრედის თაობაზე „პორტსმუთი“ და „მიდლსბრო“ დაუკავშირდნენ და ამ უკანასკნელს ფეხბურთელის ყიდვის მეტი შანსი აქვს.

## ჩელსის მიგელი გაახსენდა

**„ჩელსი“** „ვალენსიას“ არ ეშვება და მიგელის გადაბირებას ცდილობს. მოლაპარაკება ერთი კვირის წინ დაიწყო და „ღამურებს“ შეთავაზებული თანხა ეცოტავათ. ლონდონური კლუბი ვაჭრობას აგრძელებს და პორტუგალიელის შეძენა ძალიან უნდა. ამას ზაფხულშივე ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა. მაშინ „ჩელსიმ“ „ბარსადან“ ჟულიანო ბელეტი წაიყვანა. ავრაამ გრანტი პაულუ ფერეირას თამაშით უკმაყოფილოა და მიგელი მის შემცვლელად შეუგულებია.

**გაგა ხუციშვილი**

# ჰილდებრანდი ტრიბუნაზე ვილაც იჯდა

**ესპანეთის ჩემპიონატის მე-19 ტურს სატურნირო ცხრილში ვითარება დიდად არ შეუცვლია — ბერნდ შუსტერის „რეალი“ ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ კვლავაც შვიდქულიანი ჰანდიკაპით უსწრებს. მესამე-მეოთხე ადგილები გაცვალეს კასტილიურ-კატალონიურმა კლუბებმაც: „ესპანიოლი“ „ალმერიასთან“ 0:1 დამარცხდა და მესამე ადგილი „ატლეტიკოს“ დაუთმო, რომელმაც, თავის მხრივ, „ვალენსიას“ იმავე ანგარიშით მოუგო. და „ლევანტე“? შოთა არველაძემ დაჩანაკებულ თანაგუნდელებს ამჯერადაც ტრიბუნიდან უქომაგა, პრიმერას აუტსაიდერი 75-ე წუთამდე კი ეომებოდა „რეალს“, მაგრამ...**

## მთავარი

**რონალდ კუმანის** „ვალენსიამ“ „ვისენტე კალდერონზე“ ტურის ცენტრალური მატჩი დათმო „ატლეტიკოსთან“, თუმცა, ვინც ეს თამაში ნახა, თამამად იტყვის — სტუმრები შეგვეცოდნენ, არ უნდა წაეგოთო. ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელში გუნდმა პირველად ითამაშა გამართული ფეხბურთი, რომელშიც ერთბაშად იყო შერწყმული აგრესია, მობილურობა, დინამიკურობა. დავიდ სილვა და ხოაკინი ფლანგებს მთელი მატჩის განმავლობაში, წამის მეასედში ცვლიდნენ, ძალიან აქტიურობდა ფორვარდი ხავიერ არისმენდიც, რომელიც რატომღაც უფრო სიღრმიდან თამაშობდა და აი, სწორედ აქ გამოჩნდა, თუ როგორ აკლდა გუნდს დავიდ ვილია, გოლზე დაგეშილი თავდამსხმელი. ტრავმირებული ვილია ტრიბუნაზე იჯდა.

ამ მატჩში შედგა „ვალენსიას“ არგენტინელი ახალწვეულის, ევერ ბანეგას დებიუტიც — „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი საყრდენი მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და კუმანის გუნდს შუახაზი დაულაგა. მწვრთნელი სიამოვნებისგან სულ ხელებს იფშვნეტდაო, წერენ ესპანელები.

„ვალენსიამ“ გოლი ტიმო ჰილდებრანდის უხეში შეცდომის შედეგად გაუშვა, რომელმაც გამოსვლაზე ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, ამ დროს კი... ამ დროს კუმანისგან შერისხული და გუნდიდან მოკვეთილი სანტიაგო კანისარესი „სიუდად დე ვალენსიას“ ტრიბუნაზე იჯდა და „ლევანტეს“ მადრიდის „რეალთან“ ქომაგობდა...

## გმირი

**ხოსება ლორენტე**, „ვალიადოლიდის“ თავდამსხმელი, შეიძლება, დრიბლინგით და უძლიერესი დარტყმით არ გამოირჩევა, მაგრამ „უელვას“ ისეთი კოზირი „მოურტყა“... პოზიციის დიდებულად შერჩევა და მაღალი სასტარტო სიჩქარე — სწორედ ამ ორი თვისების წყალობით გაუსწორდა იოლად ლორენტე „უელვას დაცვას. იგი კლასიკური ცხრა ნომერიაო, ამბობენ პირინეებზე.

## უიღბლო

**ვიქტორ ფერნანდესი** მეოთხე მწვრთნელია, ვისაც ამ სეზონში დაატოვებინეს პოსტი და პირველი — ახალი წელი რომ წესიერად არ შეარგეს. „სარაგოსას“ უფროსობამ შინ „მალიორკასთან“ 2:2 არ აპატია ვიქტორს. კლუბის პრეზიდენტმა, ედუარდო ბანდრესმა, მეორე დღეს განაცხადა, ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, თუმც სხვა გზა არ მქონდა, ბოლო ხანს ნაჩვენებმა შედეგებმა გული ძალიან მატკინაო. „სარაგოსას“ ჯერჯერობით სულ ორადორი ქულა აშორებს გასავარდნ ზონას. და ვინ იქნება ახალი თავკაცი? არც მეტი, არც ნაკლები, კლუბის ყოფილი ფეხბურთელი, ანდერ გარიტანო, რომელიც გუშინდლამდე „სარაგოსას“ ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა.

## მოულოდნელობა

**„ესპანიოლმა“** ბოლო ოთხი თვის მანძილზე პირველად წააგო, რითაც კონკურენტები, „ატლეტიკო“ და „ვილიარეალი“ მიიახლოვა, მეტიც, მადრიდელებმა კატალონიელებს მესამე ადგილი დაათმობინეს. „ალმერიასთან“ თავიდანვე ვერ ... საქმე — დაშავდა გუნდის ლიდერი ივან დე ლა პენია, „ბუდას“ მაგივრობა კი ვერაფრით გასწიეს ანხელმა და სმილიანიჩმა, რითაც „მშრალზე“ დარჩა კატალონიელთა იუბილარი კაპიტანი, რაულ ტამუდო. ტამუდოს კვირას მესამასედ ეცვა კლუბის თეთრ-ლურჯი მაისურა. თუ ვერ გაგვაქვს, იქნებ არც გავუშვათო, ალბათ, ასეც ფიქრობდნენ მატჩის ბოლოსკენ კატალონიელები, მაგრამ ვინ აცალა? 88-ე წუთზე ნეგრედოს ფლანგიდან ჩაწოდებულს შეცვლაზე შესულმა უჩე კალუმ მარჯვედ ამოსცხო და 1:0.

## დუბლები

**სამუელ ეტოო**, მარიანო პავონე, ნიჰატ კაჰვეჩი, დიეგო მილიტო და რუუდ ვან ნისტელროი — ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც მე-19 ტურში წყვილად გაიტანეს. ბარსელონელმა ეტოომ „მურსია“ დააშმათა, პავონემ — „ხეტაფე“ (მეორე გოლი სულაც გამარჯვებისა იყო), ვილიარეალელმა ნიჰატმა — „დეპორტივო“, ვან ნისტელროიმ „რეალს მოაგებინა „ლევანტესთან“, ხოლო მილიტოს დუბლმა „სარაგოსას“ ქულა გადაურჩინა „მალიორკასთან“.

## დებიუტი

**„დეპორტივოს“** 20 წლის მეკარე ფაბრიმ, თუ ერთ უხეშ შეცდომას არ ჩავთვლით, გამოცდა წარმატებით ჩააბარაო, წერენ ესპანელები. ფაბრი, გეცოდინებათ, რატომაც ჩადგა ლაკარუნიელთა კარში — „დეპორის“ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მეკარეებმა, დუდუ ავატმა და გუსტავო მუნუამ დასცხეს ერთმანეთს და მწვრთნელმა ხოაკინ კაპაროსმაც ისინი დასაჯა.

ისე, საინტერესო კია, გამოცდა როგორაა წარმატებით ჩაბარებული, როცა მეკარე ერთ მატჩში 4 ბურთს გაუშვებს? „დეპორტივომ“ კი „ვილიარეალთან“ 3:4 წააგო.

**გიორგი გუგაკიძე**

# ფერნანდესი მეცხრეს შეეწირა

**„სარაგოსას“** მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი თანამდებობიდან მოხსნეს. კვირას „მალიორკასთან“ მატჩის (2:2) შემდეგ კლუბის შეფები გუნდის თავკაცს შეხვდნენ და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტეს. „სარაგოსას“ უკვე ცხრა ტურია, არ მოუგია და შარშან მეექვსე ადგილზე გამსვლელი, ამჟამად მეთორმეტეზე დაეშვა, საიდანაც გასავარდნი ზონა ორი ქულის მანძილზეა. „მალიორკასთან“ შეხვედრა, ეტყობა, ბოლო შანსი იყო ფერნანდესისთვის, მაგრამ ვერ გამოიყენა. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „კვირა საღამოს ჩვენ შევხვდით მწვრთნელს, არსებულ ვითარებაზე ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ მისი წასვლა აჯობებდა. მადლობას ვუხდით და წარმატებას ვუსურვებთ“

ვიქტორ ფერნანდესმა შვიდი სეზონი (1990-1997) გაატარა „სარაგოსაში და აწ გაუქმებული თასების მფლობელთა თასი მოიგო. 1995 წელს ფინალში ესპანელებმა ლონდონის „არსენალი“ დაამარცხეს.

„სარაგოსადან“ წასვლის შემდეგ ერთი წელი „ტენერიფეში“ იმუშავა, მერე ოთხი (1998-2000) — ვიგოს „სელტაში“, რასაც „ბეტისი“ (2002-2004) მოჰყვა და ბოლოს „პორტუში“ იყო. „პორტუმ“ მის ხელში 2004-ში საკონტინენტაშორისო თასი დაისაკუთრა. 2005 წლის იანვარში ფერნანდესი მოხსნეს და წელიწადნახევრის შემდეგ, 2006-ის ზაფხულში „სარაგოსაში“ მეორედ მოვიდა. წინა სეზონში გუნდი მეექვსე ადგილზე და უეფას თასზე გაიყვანა, მაგრამ გასულ ოქტომბერში ამ ტურნირიდან გამოვარდა.

**გაგა ხუციშვილი**



# მანიშე გაინტერელდა

**გასრულდა** „ინტერისა“ და მანიშეს ამბავი. მადრიდის „ატლეტიკომ“ პორტუგალიელი ნახევარმცველი „ნერაძურის“ სეზონის ბოლომდე ათხოვა, მომავალ ზაფხულს კი მილანელები, სავარაუდოდ, მის კონტრაქტს მთლიანად გამოისყიდიან 6 მილიონ ევროდ.

მანიშე: „ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ „ინტერში“ თამაშს. მილანელებს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი ჰყავთ, რომელშიც მხოლოდ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ. იტალიაში ფეხბურთი უფრო ფიზიკური და ტაქტიკურია, ვიდრე ესპანეთში. იმედია, „ინტერთან“ ერთად რაც შეიძლება ბევრ ტიტულს მოვიპოვებ და მომავალ სეზონსაც „ნერაძურიში“ გავატარებ. მიხარია, რომ ჩემმა თანამემამულემ და მეგობარმა ლუიშ ფიგუმ კომპლიმენტებით შემამკო და ხელმძღვანელობას ჩემი დამატება გადააწყვეტინა. იგი ადაპტაციაშიც დამეხმარება“.

„ნახევარდაცვაში პრობლემები გვაქვს. ვალტერ სამუელი და ოლივიე დაკური სეზონის ბოლომდე არ გვეყოლებიან. ვინმეს დამატება გვჭირდებოდა, მანიშე კი ბრწყინვალე და მრავალმხრივი ფეხბურთელია“ — თქვა მილანელთა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

**კოკი კანდელაკი**

# სარბიელი: კრიკეტი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 2 | ბირმინგემი-ჩელსი | 6.00 | 3.40 | 1.60 | 2.17 | 1.26 | 1.08 |
| 19:00 | 4 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1.70 | 3.40 | 4.75 | 1.13 | 1.25 | 1.98 |
| 19:00 | 5 | ფულემი-არსენალი | 7.00 | 3.80 | 1.45 | 2.46 | 1.20 | 1.04 |
| 21:15 | 10 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 19:00 | 11 | პორტსმუთი-დერბი | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| 19:00 | 12 | რედინგი-მანჩესტერი | 8.50 | 4.00 | 1.35 | 2.72 | 1.16 | 1.00 |
| 19:00 | 14 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1.40 | 4.10 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.71 |
| | | **20 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 8 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 17:30 | 15 | უიგანი-ევერტონი | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 7 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 16 | სტოკი-პრესტონი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 21:20 | 17 | უოტფორდი-ჩარლტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 18 | ბლეკპული-იფსვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 19 | ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 20 | კოლჩესტერი-ჰალი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 21 | ქოვენთრი-ბარნლი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 22 | კრისტალ პალასი-ბრისტოლი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 23 | ნორვიჩი-ლესტერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 25 | ქპრ-ბარნსლი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 26 | სკანთორპი-ვულვერჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 16:45 | 27 | უენსდი-შეფილდი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 41 | პიტერბრო-აკრინგტონი | 1.60 | 3.40 | 5.25 | 1.08 | 1.22 | 2.06 |
| 23:45 | 42 | მორიკომბი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 71 | ჩესტერფილდი-როჩდეილი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 55 | კემბრიჯი-დროილსდენი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 100 | გრეტნა-რეინჯერსი | 10.50 | 5.10 | 1.25 | 3.43 | 1.11 | 1.00 |
| | | **ინგლისი. თასი.1/32 ფინალი. განმეორებითი მატჩები** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 80 | ბარნეტი-სუინდონი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 81 | მილუოლი-უოლსოლი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:45 | 565 | როვერსი-ფულემი | 4.30 | 3.50 | 1.75 | 1.92 | 1.24 | 1.16 |
| 23:45 | 566 | ბერი-ნორვიჩი | 3.90 | 3.40 | 1.85 | 1.81 | 1.25 | 1.19 |
| 23:45 | 567 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 23:45 | 568 | ლივერპული-ლუტონი | 1.10 | 7.50 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.29 |
| 23:45 | 569 | რედინგი-ტოტენხემი | 3.00 | 3.40 | 2.10 | 1.59 | 1.23 | 1.29 |
| 23:45 | 572 | უენსდი-დერბი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 82 | ჰერეფორდი-ტრანმერე | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 23:45 | 83 | ჰავანტი-სუონსი | 6.10 | 3.50 | 1.50 | 2.22 | 1.20 | 1.04 |
| 23:45 | 571 | ნიუკასლი-სტოკი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **20 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 570 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 591 | კლაიდი-დანდი იუნაიტედი | 5.50 | 3.70 | 1.55 | 2.21 | 1.20 | 1.09 |
| 23:45 | 592 | ლივინგსტონი-კუოუდენბითი | 1.55 | 3.70 | 5.10 | 1.09 | 1.18 | 2.14 |
| 23:45 | 593 | სტ ჯონსტონი-რეითი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 573 | ბარსელონა-სევილია | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 574 | ვალენსია-ბეტისი | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 22:00 | 575 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 22:00 | 576 | ვილიარეალი-უელვა | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 22:00 | 577 | ლევანტე-ხეტაფე | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 22:00 | 578 | რასინგი-სარაგოსა | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 22:00 | 579 | რეალი-მალიორკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 22:00 | 580 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.55 | 3.40 | 6.20 | 1.06 | 1.24 | 2.19 |
| | | **იტალია. თასი 1/8 ფინალი განმეორებითი მატჩები.** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 581 | იუვენტუსი-ემპოლი | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| | | **საფრანგეთი. თასი 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 587 | ლე მანი-ლიონი | 3.70 | 3.10 | 1.90 | 1.68 | 1.25 | 1.17 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 588 | პსჟ-ვალენსიენი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 22:00 | 589 | ლანსი-ნანსი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 23:45 | 590 | ოსერი-მარსელი | 2.45 | 2.80 | 2.70 | 1.30 | 1.28 | 1.37 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 363 | მოდო-მორა | 1.50 | 4.40 | 4.00 | 1.11 | 1.09 | 2.09 |
| 21:00 | 364 | ჰვ 71-ხიოდერტელიე | 1.40 | 4.30 | 4.80 | 1.05 | 1.08 | 2.26 |
| 21:00 | 365 | ლულეო-ფერიესტადი | 2.40 | 4.10 | 2.05 | 1.51 | 1.10 | 1.36 |

**შესაძლო ცვლილებები დაიაზუსტეთ ადგილზე**

### ჰოკეი. ფინეთი

15 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 376 | ესპოო-იოკერიტი | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |
| 20:30 | 377 | ჰელსინკი-პელიკანსი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:30 | 378 | ილვესი-იუვესკიულე | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |
| 20:30 | 379 | კალპა-ჰაამეენლინა | 2.25 | 4.10 | 2.15 | 1.45 | 1.09 | 1.41 |
| 20:30 | 380 | ტურკუ-სეიპა | 1.65 | 4.20 | 3.20 | 1.18 | 1.08 | 1.81 |
| 20:30 | 381 | ესეტი-ტაპარა | 2.80 | 4.10 | 1.80 | 1.66 | 1.09 | 1.25 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

15 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 409 | სკალიცა-მიკულაში | 1.25 | 4.80 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.66 |
| 20:00 | 410 | კეემაროკი-ზვოლენი | 2.55 | 4.20 | 1.80 | 1.58 | 1.05 | 1.25 |
| 20:00 | 411 | ნიტრა-ჟილინა | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 20:00 | 412 | კოშიცე-მარტინი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 20:00 | 413 | სლოვანი-პოპრადი | 1.40 | 4.40 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.22 |

### ჰოკეი. შვეიცარია

15 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 427 | ლანგნაუ-ბერნი | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 22:30 | 428 | ციურიხი-კლოტენი | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |

### ჰოკეი. რუსეთი

15 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 442 | სევერსტალი-ხიმიკი | 1.95 | 4.30 | 2.25 | 1.34 | 1.04 | 1.47 |
| 20:00 | 443 | მვდ-დინამო მ | 1.90 | 4.40 | 2.30 | 1.32 | 1.04 | 1.51 |
| 20:00 | 444 | ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 2.30 | 4.30 | 1.85 | 1.49 | 1.02 | 1.29 |
| 18:30 | 445 | ლადა-ცსკა | 2.40 | 4.30 | 1.80 | 1.54 | 1.02 | 1.26 |
| 17:00 | 446 | ტრაქტორი-ლოკომოტივი | 2.30 | 4.00 | 1.85 | 1.46 | 1.02 | 1.26 |
| 17:00 | 447 | სიბირი-მაგნიტოგორსკი | 2.80 | 4.20 | 1.65 | 1.67 | 1.03 | 1.18 |
| 16:00 | 448 | ნოვოკუზნეცკი-ს.იულაევი | 3.50 | 4.40 | 1.45 | 1.94 | 1.02 | 1.09 |
| 20:00 | 449 | სპარტაკი-ვიტიაზი | 1.75 | 4.30 | 2.50 | 1.24 | 1.02 | 1.58 |

### ჩოგბურთი. ქალები. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

15 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 600 | აზარენკო-კლოზელი | 1.10 | 4.80 | | | | |
| 23:45 | 601 | ვესნინა-კრეიბასი | 1.50 | 2.20 | | | | |
| 23:45 | 602 | გოლოვინი-რეზაი | 1.10 | 3.90 | | | | |
| 23:45 | 603 | დემენტიევა-მედინა გარიკესი | 1.15 | 3.90 | | | | |
| 23:45 | 604 | მორესმო-შვედოვა | 1.01 | 8.00 | | | | |
| 23:45 | 605 | პეერი-მური | 1.01 | 8.00 | | | | |
| 23:45 | 606 | სკიავონე-კერბერი | 1.10 | 4.80 | | | | |
| 23:45 | 607 | ს უილიამსი-მ იუანი | 1.01 | 10.00 | | | | |
| 23:45 | 608 | შარაპოვა-დევენპორტი | 1.30 | 2.60 | | | | |
| 23:45 | 609 | შნიდერი-დელაკუა | 1.05 | 5.80 | | | | |
| 23:45 | 610 | ენენი-პუჩკოვა | 1.01 | 10.00 | | | | |
| 23:45 | 611 | იანკოვიჩი-გალოვიცი | 1.05 | 5.00 | | | | |

### ხელბურთი. ეჩ 2008

17 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 72 | რუსეთი-ჩერნოგორია | 1.04 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 20:00 | 73 | გერმანია-ბელარუსი | 1.01 | 15.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 7.24 |
| 21:15 | 74 | სლოვენია-ჩეხეთი | 1.35 | 10.00 | 3.20 | 1.18 | 1.00 | 2.42 |
| 21:15 | 75 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.01 | 15.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 7.50 |
| 22:15 | 76 | დანია-ნორვეგია | 1.80 | 9.00 | 2.10 | 1.50 | 1.00 | 1.70 |
| 22:15 | 77 | ესპანეთი-უნგრეთი | 1.03 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 23:15 | 78 | ხორვატია-პოლონეთი | 1.50 | 12.00 | 2.40 | 1.33 | 1.00 | 2.00 |
| 23:15 | 79 | ისლანდია-შვედეთი | 2.40 | 10.00 | 1.60 | 1.93 | 1.00 | 1.37 |

### ფრენბურთი. ქალები. ოლიმპიადა 2008. კვალიფ. გერმანია

15 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 594 | გერმანია-თურქეთი | 1.15 | 4.00 | | | | |
| 20:30 | 595 | რუმინეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 | | | | |
| 23:00 | 596 | ჰოლანდია-პოლონეთი | 1.50 | 2.10 | | | | |



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დიდ ფილს სახელი გაუდიდდა

13 იანვარი

**ატლანტა 105:84 ჩიკაგო**

**ატლანტა:** ე. ჯონსონი (7), ჯ. ჯონსონი (37 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), მ. უილიამსი (11), სმიტი (9), ჰორფორდი (8); ჩილდრესი (14), ლუ (6), ჯონსი (6), ლოუ (5), ვესტი (2)

*ფაჩულიას არ უთამაშია*

**ჩიკაგო:** დენგი (28), ნოჩიონი (20)

**გოლდენ სტეიტი 106:101 ინდიანა**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (29), დევისი (27)
**ინდიანა:** ონილი (27), გრეინჯერი (20), დანლივი (18 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**ლეიკერსი 100:99 მემფისი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (37)
**მემფისი:** მილერი (27), გასოლი (21 ქულა, 18 მოხსნა, 8 პასი)

**ტორონტო 116:109 პორტლენდი**

ძირითადი დრო 93:93

**ტორონტო:** ბოში (38 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (25), კალდერონი (22 ქულა, 10 პასი)
**პორტლენდი:** როი (33), აუთლოო (18)

**ჰიუსტონი 82:87 ნიუ ორლეანი**

**ჰიუსტონი:** მინი (30 ქულა, 16 მოხსნა)
**ნიუ ორლეანი:** ვესტი (26 ქულა, 12 მოხსნა), პოლი (19 ქულა, 11 პასი)

**ნიუ იორკი 89:65 დეტროიტი**

**ნიუ იორკი:** რენდოლფი (25)
**დეტროიტი:** მაკდაიესი (15)

მტკივანი ფეხის თითი ზაზა ფაჩულიას უკვე მესამე თამაშს ატოვებინებს. და საერთოდაც, „ატლანტას“ ქართველი ცენტრისთვის ეს სეზონი თავიდანვე დაინავსა, მას ექიმებში უფრო უწევს სიარული, ვიდრე მეტოქეებთან ჭიდილი.

„ატლანტა“ კი ისეთ საუცხოო ფორმაშია, როგორშიც 1999 წლის შემდეგ არ ყოფილა. „ქორებმა“ შინ იოლად დაამარცხეს ჩიკაგოელი „ხარები“ და ამ გუნდთან 2004 წლის მერე ჩაყინული გამარჯვების ნავი დაძრეს. „ატლანტას“ ბოლოს სწორედ 2004 წელს ეძლია „ჩიკაგო“ და ისევე, როგორც არაერთ სხვას, ამ მჩაგვრელსაც მიმდინარე სეზონში გაუსწორა ანგარიში.

რაც შეეხება თავად მატჩს, ის არცთუ საინტერესო გამოვიდა. მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 38:22 მოუგეს მეტოქეს და მერე ახლოს აღარ გაიკარეს. გამარჯვებულთა ლიდერმა ჯო ჯონსონმა 5 სამქულიანი ჩაგდო და სულ 37 ქულა დააგროვა, აქედან 25 პირველ ტაიმში გააკეთა, რომელშიც მისმა გუნდმა ზუსტად 20 ქულით იძალა.

დრამატული ბრძოლის შემდეგ მორიგი გამარჯვება შეიმატა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“, რომელიც მწვრთნელ ფილ ჯეკსონისთვის რიგით 944-ე გამოდგა. დიდი ფილი ნბა-ს ისტორიაში გამარჯვებების ოდენობის მიხედვით მეექვსე საუკეთესო მწვრთნელ ბილ ფიტჩს გაუტოლდა, ოღონდ „ლეიკერსს“ ეს წარმატება საკმაოდ ძვირად დაუჯდა — დაიმტვრა ლოსანჯელესელთა ახალგაზრდა ცენტრი ენდრიუ ბინამი.

ბოლო ხანებში გათამამებულ „პორტლენდს“ კერკეტი მეტოქე შეხვდა. მან და „ტორონტომ“ ოთხი მეოთხედის და ზედაც ორი დამატებითი ხუთწუთიულის განმავლობაში ტანჯეს ერთმანეთი. ბოლოს გამარჯვება მასპინძელ „ტორონტოს“ დარჩა.

**კოტე ყორშია**



ფილ ჯექსონის მოგებათა ასეულებს მალე ორი ხელის თითებიც არ ეყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ფაბიანისა

# რუსთავს რუსთავისა

## ქორქია-საკანდელიძეს ქუთაისი მოუსდებოდა

*დღეს რუსთავში ოლიმპიური ჩემპიონების, მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ხსოვნის ტურნირი იწყება, რომელშიც სუპერლიგის ექვსივე გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ორ ჯგუფში განაწილებული კლუბები თითოჯერ შეხვდებიან ერთმანეთს და საუკეთესონი 18 იანვარს ფინალში შეერკინებიან. ტურნირს რუსთავი მასპინძლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოგების უმთავრესი კანდიდატი „ენერჯი-ინვესტია", რომელმაც შარშანაც მოიგო ქორქია-საკანდელიძე, ხოლო მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატს წაუგებლად ლიდერობს. ერთი სიტყვით, დღეს იწყება და ვნახოთ, 4 დღის თავზე ვინ აღმართავს თასს. გუშინ კი კლუბ „12 მაგიდაში" საამტურნირო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც თსუ-ს გარდა ყველა გუნდის მწვრთნელი დაესწრო...*

*ვაჟა მხეიძე, „ავიამშენის" ასისტენტი მწვრთნელი:*

— კარგი იქნებოდა, მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ხსოვნის ტურნირი მათ მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გამართულიყო. მით უმეტეს, რომ იქ შესანიშნავი დარბაზი გაიხსნა, თუმცა არც რუსთავშია ურიგო პირობები. ჩვენი გუნდი ამ ტურნირს ახალი ცენტრით ხვდება. თსუ-დან რიჩარდ მათიაშვილი შეგვემატა, რომელიც, იმედია, საგრძნობლად გააძლიერებს ჩვენს წინა ხაზს. სუპერლიგის დასაწყისში სერიოზული ჩავარდნა გვქონდა, რაც გუნდში მომხდარი ცვლილებების ბრალი იყო. შეთამაშების პრობლემა გვქონდა და ახლა ცოტა გამოვასწორეთ მდგომარეობა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქორქია-საკანდელიძის თასი „ავიამშენმა" მოიგოს.

*დავით უსტიაშვილი, „ენერჯი-ინვესტის" მთავარი მწვრთნელი:*

— ტურნირი რუსთავში იმართება, რაც გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს და ვეცდებით, შარშან მოგებული თასი შევინარჩუნოთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა, მცირე ტრავმები კი გვაწუხებს, მაგრამ ეს ალბათ სერიოზულ პრობლემებს არ შეგვიქმნის.

*ზაზა ცავარეიშვილი, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:*

— ახალი წლის დღეებში ჩვენ მაქსიმალურად მობილიზებულები ვიყავით და ქორქია-საკანდელიძის ტურნირისთვის ვემზადებოდით. ეს შეჯიბრი საკმაოდ პრესტიჟულია და გვინდა, ყველაფერი გავაკეთოთ მის მოსაგებად. არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია, მაგრამ ფინალში გასვლა ნამდვილად შეგვიძლია.

*მიხეილ კობეშავიძე, „ვითას" ასისტენტი მწვრთნელი:*

— ჩვენთან ცვლილებები არაა, მაგრამ ორი ტრავმირებული გვყავს. ბექა წივწივაძეს წელი აწუხებს, ლუკა ნოზაძეს კი კოჭი სტკივა და ქორქია-საკანდელიძის ტურნირზე ვერც ერთი ვერ დაგვეხმარება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოსაგებად ვიბრძოლებთ, რადგან საქართველოში არ არის ისეთი გუნდი, რომლის დამარცხებაც ჩვენ არ შეგვეძლოს.

*ჯამლეტ ხუხაშვილი, „მაკაბის" მთავარი მწვრთნელი:*

— მართალია, ამ ტურნირს ცუდი პერიოდი დაემთხვა, სიცივე, ყინვები, მაგრამ რუსთავის დარბაზში კარგი გათბობაა და იმედია, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის. ისე, უკეთესი იქნებოდა, ქორქიასა და საკანდელიძის პატივსაცემად ეს ტურნირი მათ მშობლიურ ქუთაისში ჩატარებულიყო, მაგრამ რას ვიზამთ. რაც შეეხება „მაკაბის", ჩვენ ერთი მოთამაშე გამოგვაკლდა, დავით ბერიშვილმა არასაკმარისი დაფინანსების გამო დაგვტოვა, ხოლო მის ძმა ირაკლის ერთი თვეა, არ უვარჯიშია და ფაქტობრივად, უკანა ხაზის გარეშე ვართ. თუმცა დანებებას არ ვაპირებთ და რუსთავში ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**ირაკლი პერტაია**

# ბუ როკავს, მანუ უბერავს

**გასულ კვირაში გიორგი ცინცაძემ ევროპის მოედნებზე ცეცხლი დაანთო. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელს სამ ტურნირზე მოუწია თამაშმა და ყველგან საუკეთესო იყო. მისმა „როკმაც" სამივე მატჩი მოიგო და ცინცაძეს გარჯაც უმალ დაუფასდა. გულშემატკივარებმა ბალტიის ლიგის საიტზე მიმდინარე გამოკითხვაში ჩვენიანს იმდენი ხმა მიუთვალეს, რომ „ბუ" არათუ თანაამპლუელებს შორის, არამდე მთლიანად გამოკითხვის მონაწილეებში დაწინაურდა. ერთი სიტყვით, გიო მაგარ ფორმაშია და, მიუხედავად ვლადიმერ ბოისას „არისში" დებიუტისა, ლეგიონერთა მიმოხილვას მისი ამბებით დავიწყებთ**

### ესტონეთი

აქვე ვთქვათ, რომ ცინცაძემ გასულ კვირაში გამართულ სამ შეხვედრაში 53 ქულა დააგროვა. მას არც პასები დაუკლია, თუმცა „როკერებს", ძირითადად, ბომბარდირობით შეეწია.

პირველი მატჩი ტარტუელებმა ფინეთის ჩემპიონ „ლაატენრანტას" სტუმრად მოუგეს. ქართელმა გამთამაშებელმა თავისიანებს 19 ქულა, 6 პასი და 5 მოხსნა შეაშველა და ესტონურმა კლუბმაც იოლად იმარჯვა. ამ მოგებით „როკი" ევროთასის ჯგუფში დაწინაურდა და პლეი ოფში გასვლაც თითქმის გაინაღდა.

შემდეგ იყო ბალტიისლიგური მატჩი, რომელშიც „როკერებმა" ლიტვური „ნეპტუნასი" დააჩოქეს და ცინცაძემ ამ შეხვედრაში 17 ქულა, 4 მოხსნა და ამდენივე პასი დააგროვა.

გასულ შაბათს კი „როკერებმა" ქართველის წინამძღოლობით ესტონეთის ჩემპიონატში უპრინციპულესი მატჩი მოიგეს. ლიდერ „კალევს" სტუმრად, ტალინში ეთამაშებოდნენ და ცინცაძის 17-ქულიანი ბომბარდირობით 82:71 იმარჯვეს.

### საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისამ გასულ კვირაში ორჯერ მოირგო ბერძნული „არისის" მაისურა, თუმც დებიუტი ისეთი ვერ გამოუვიდა, ჩვენ რომ გვესიამოვნებოდა. ეოვამ ახალ გუნდში პირველად ევროლიგაში, „ლიეტუვოს რიტასის" წინააღმდეგ ითამაშა და მოედანზე 4-წუთიანი ყოფნა ვერაფრით აღნიშნა. მან მხოლოდ ერთხელ ისროლა ლიტველთა ფარისკენ, თუმცა უშედეგოდ, „არისმა" კი 69:72 წააგო.

შედარებით უკეთესად გაისარჯა ბოისა საბერძნეთის ჩემპიონატში. „არისი" სტუმრად „ეგალეოს" ეთამაშებოდა და 88:71 გაიმარჯვა. ეოვამ 16 წუთი ითამაშა, თუმცა 5 პერსონალურის მიღება „მოასწრო" და მოედანი 6 ქულით და თითო მოხსნა-პასით დატოვა. მან 6-ჯერ ესროლა საშუალო დისტანციიდან და 3-ჯერ უწია მიზანს.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილი ჩაუქობას აგრძელებს — ის გასულ კვირაში „ბკ კიევს" ულებ-ის თასზეც გვარიანად შეეწია და უკრაინის ჩემპიონატშიც. კიეველებმა საფრანგეთში „პო ორტეზის" დამარცხებით ულებ-ის თასის პლეი ოფში დაიგულეს თავი. ამ მატჩში მარკოიშვილი თავისიანებს 12 ქულით, 2 ჩაჭრით და თითო მოხსნა-პასით შეეშველა.

გაცილებით ბარაქიანი იყო „მანუ" შიდა ჩემპიონატში. „ბკ კიევმა" სტუმრად „კრივბასი" 75:56 რომ დაამარცხა, ქართველმა უკანახაზელმა 20 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. მანუჩარმა 8-დან 5 სამიანი ჩააგდო და უკრაინაში დაგდებული სნაიპერის სახელი კიდევ უფრო გაიმყარა.

### იტალია

იყო დრო, როცა ცქიტიშვილის „ტერამო" ლიდერებში იწონებდა თავს, მაგრამ მას მერე წაგებებს უხშირა და ახლა სერია A-ს შუაშია გაჩხერილი. ტერამოელებმა მორიგი მატჩი მარადიულ ქალაქში მოწინავე „რომასთან" 61:78 წააგეს, ჩვენ კი გულის მოსაოხებლად ქართველი ცენტრის არცთუ უშედეგო გარჯა გვაქვს.

„ცქიტო" რომაელებს 24 წუთი ებრძოლა და 12 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. საინტერესოა, რომ ნიკამ რომაელებს 3 სამქულიანი ჩაუგდო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერამოელებმა ის ცენტრის პოზიციიდან ფორვარდობისკენ ჩამოაჩოჩეს.

### ესპანეთი

ტაირონ ელისის „კახასოლმა" ესპანურ გრანდ „უნიკახას" სტუმრად დიდი წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა (77:82) და პრიმერა-დივიზიონიდან გასავარდნთა ზონაშია.

გაქართველებულმა ამერიკელმა 27 წუთში 11 ქულა და 2 პასი გამოჭედა, რაც სევილიელებს, ცხადია, არ ეყოთ.

**ირაკლი პერტაია**

## ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $



ჟო-ვილფრედ ცონგა

# მიურეი ცონგასთან გაიჟონა

**გუშინ** „მელბურნ-პარკის“ კორტებზე წლის პირველი სლემტურნირი დაიწყო და თავიდანვე ძალიან დაძაბული, ლამაზი და უკომპრომისო ჯახები ვიხილეთ. მეჩოგნეებმა მზისგან ისედაც გვარიანად გახურებულ ავსტრალიურ ჰარდზე ნამდვილი ცეცხლი დაანთეს და არაერთი მშვენიერი სანახაობაც დადგეს. თუ რამდენიმე ფავორიტის ყოჩაღობას არ ჩავთვლით, შეხვედრათა უმეტესობამ თანაბარ ბრძოლებში ჩაიარა, 22 მატჩში კი გამარჯვებულის ბედი სულაც გადამწყვეტ სეტში გაირკვა.

იყო სენსაციებიც და ჩვენც სწორედ ამით დავიწყებთ.

ყველაზე ხმაურიანი მოულოდნელობა ტურნირის მე-9 ნომერ ენდი მიურეის წაგება გახლდათ. არადა, ამ ბრიტანელმა სეზონი მშვენივრად დაიწყო და ორი კვირის წინ დოჰიას ტურნირის მოგების შემდეგ ავსტრალიაში გამარჯვების პრეტენდენტთა შორის მოიხსენიებოდა. ჰოდა, ეტყობა, ენდიმ სწორედ ამ ზეწოლას ვერ გაუძლო.

არავინ უარყოფს — პირველი წრისთვის ბრიტანელს ძალიან სერიოზული მეტოქე ჰყავდა. ჟო-უილფრედ ცონგა იმ მეჩოგნეთა კატეგორიაში შედის, რომელიც შეიძლება ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტდეს, მაგრამ ნებისმიერ ტურნირზე ერთი-ორი წრის გავლა თავისუფლად შეუძლია და არც ბობოლათა გამწარებაზე ამბობს ხოლმე უარს. მაგალითად, შარშან ამ ფრანგმა აქვე, მელბურნ-პარკზე კიდევ ერთი ენდი, ოღონდ როდიკი, მაგრად აწვალა. ჰოდა, რაც შავგვრემან გალს შარშან არ გამოუვიდა, ახლა გააკეთა და ტურნირის პირველი სენსაციის ავტორიც შეიქნა.

ცონგამ თავიდანვე აგრესიულად დაიწყო და მიურეი გვარიან შოკში ჩააგდო. ფრანგი განსაკუთრებით საკუთარ მოწოდებაზე გამოიყურებოდა ძლიერად, რითაც მეტოქეს ბრეიკების გაკეთების საშუალება თითქმის მოუსპო. სამაგიეროდ, თვითონ პირველ ორ სეტში თითოჯერ გატეხა ბრიტანელი და სერიოზული ფორაც შეიქმნა. მესამე პარტიაში ენდიმ თითქოს მოაბრუნა მატჩის ჩარხი და ცონგას გეიმიც არ ააღებინა. თუმც მეოთხე პარტიის დასაწყისში გალმა სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო და ძნელი სათქმელია, ექიმმა ასეთი რა გაუკეთა, მაგრამ კორტზე მობრუნებულმა ცონგამ იგივე ჩოგბურთი გააჩაღა, რამაც პირველი ორი სეტი მოაგებინა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ფრანგს აშკარა მორალური უპირატესობა ჰქონდა და აკი სწორედ მან იმარჯვა კიდეც.

კიდევ ერთი მოულოდნელობა კარლოს მოიას მარცხი გახლდათ, რომელიც შტეფან კუბეკმა დაიბრიყვა. ავსტრიელი თავიდანვე ბულდოგივით ჩააფრინდა ესპანელს და ძალიან თანაბარი ჩოგბურთიც გაჩაღდა. შედეგად მატჩი გაიწელა, რაც ავსტრიელის წისქვილზე ასხამდა წყალს — ვეტერანმა პირინეელმა ველარ გაუძლო ავსტრალიურ სიცხეს და თეთრი დროშაც გამოფინა.

ესპანელებმა გუშინ კინაღამ კიდევ ერთი წარმომადგენელი დაკარგეს. ტომი რობრედომ საზიზღრად დაიწყო შეხვედრა გერმანიის სახელით მოთამაშე მიშა ზვერევთან და ორი სეტიც წააგო, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა მატჩი სათავისოდ შემოაბრუნა და გამოცდილების ხარჯზე მეორე წრის საგზური გაიღდა.

ისე, არც სხვა ბობოლებს ჰქონიათ იოლი გასეირნება. რაფაელ ნადალმა, ენდი როდიკმა და ნიკოლაი დავიდენკომ გვარიანი ოფლი დაღვარეს პირველი ავსტრალიური ტესტის ჩასაბარებლად. განსაკუთრებით მაინც ნადალს გაუჭირდა, რომელსაც ვიქტორ ტროიცკი კარგა ხანს ეჯმა და სეტის ართმევაც შეეძლო, მაგრამ მალიორკელი თანდათან გონზე მოვიდა, კორტზე ჩვეულად მარდად ამოძრავდა და სერბი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

ქალთა ბადეში კი ყველაზე დიდი დანაკლისი 23-ე ნომერი ვერა ზვონარიოვა გახლდათ. რუსმა ტრავმა ზედ სლემტურნირის წინ ჰობარტში მიიღო და იქ ფინალიც ვერ ითამაშა. მან ვერც გუშინდელი მატჩის დასრულება შეძლო.

შეიძლებოდა, ზვონარიოვა არც არავის გახსენებოდა, რადგან მელბურნიდან კინაღამ მესამე ნომერი ელენა იანკოვიჩი დაიფრინეს, ოან ვინ — 17 წლის ტამირა პაჟეკმა. თინეიჯერ ავსტრიელს სულ ცოტა დააკლდა სერბის გამწარებამდე.

თავად მატჩი კი დიდებული საცქერი გამოდგა. მართალია, იანკოვიჩი ძალიან ბევრს სცოდავდა, რაც მისი კალიბრის ვარსკვლავს არ ეკადრება, მაგრამ აქა-იქ სერბიც ბრწყინავდა. ავსტრიელის თამამი, ხშირად თავზეხელაღებული თამაშის ყურება კი ერთ რამედ ღირდა. ერთი ეგაა, რომ პაჟეკს ხელი გადამწყვეტ მომენტებში უკანკალებდა — თუნდაც ის რად ღირს, რომ ოთხი მატჩ-პოინტი გაანიავა. აი, იანკოვიჩმა კი მხოლოდ სიჯიუტის ხარჯზე შეძლო ამ შეხვედრის მოგება, რადგანაც მესამე სეტში კორტზე ძლივს დალასლასებდა. ელენამ ნამატჩევს სწორედ ეს თქვა:

„ღმერთს ვევედრებოდი ეს შეხვედრა რამენაირად მომაგებინე-მეთქი. არ მინდოდა აქედან ასე ნაადრევად წასვლა და ალბათ სწორედ ამან გამაძლებინა“.

ნაკლები თავგადასავლებით უწია ეს მეორე წრეს სხვა ფავორიტებმა — ჟუსტინ ენინმა, მარია შარაპოვამ და სერენა უილიამსმა ოდნავ კი ინერვიულეს, მაგრამ მთლიანობაში მაინც დამაჯერებლად იმარჯვეს. სამაგიეროდ, იჯახირა ლინდსი დეევნპორტმა, რომელმაც სარა ერანი მხოლოდ გადამწყვეტი სეტის მიწურულს დააჩოქა, მაგრამ ასეთი თამაშით შემდეგ წრეში შარაპოვასთან არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

**კახა ლომაშვილი**

ელენა იანკოვიჩმა მეორე წრის საგზური ოთხი მატჩ-პოინტის ფასად მოიპოვა

### კაცები
### პირველი წრე

**რიშარ გასკე** (8, საფრანგეთი) — ნიკლინდალი (ავსტრალია) 6:0 6:1 3:6 6:2; **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპანეთი) — უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:6 6:1 6:4; **ჭრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 6:0 6:1 7:6; **იგორ ანდრეევი** (31, რუსეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 5:7 6:2 7:6 6:3; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (18, არგენტინა) 6:4 6:2 1:6 6:2; **ალეხანდრო ფალა** (კოლუმბია) — კევინ ანდერსონი (სამხრეთ აფრიკა) 5:7 7:5 6:7 6:2 7:5; **სემ უორბურგი** (აშშ) — ხუან პაბლო ბრეუიკი (არგენტინა) 2:6 6:2 6:3 2:6 6:4; **ფო-ვილფრედ ცონგა** (საფრანგეთი) — ენდი მიურეი (9, ბრიტანეთი) 7:5 6:4 0:6 7:6; **მიხაილ იუჟნი** (14, რუსეთი) — მატიო მონტგორტი (საფრანგეთი) 6:0 6:2 7:6; **ანდრეას სეპი** (იტალია) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:4 6:2 6:1; **დუდი სელა** (ისრაელი) — მარტინ სლანარი (ავსტრია) 6:2 6:4 6:2; **ივო კარლოვიჩი** (20, ხორვატია) — ჯემი ბეიკერი (ბრიტანეთი) 6:4 6:4 6:7 6:4; **სტანისლას ვავრინკა** (26, შვეიცარია) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:3 6:3 6:3; **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:3 4:6 6:7 6:4 6:2; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 5:7 6:2 3:6 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:5 7:5 6:3; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:3 6:4 7:5; **მიხაელ ბერერი** (გერმანია) — დონალდ იანგი (აშშ) 6:7 7:6 6:3 7:6; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპანეთი) 7:5 6:2 6:0; **ფილიპ კოლშრაიბერი** (29, გერმანია) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) 6:4 7:6 6:1; **იარკო ნიემინენი** (24, ფინეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:3 6:1 5:7 2:6 6:1; **ჯეს ლევაინი** (აშშ) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:1 7:5 6:1; **მარდი ფიში** (აშშ) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:2 6:3 3:6 6:3; **ტომი როგრედო** (11, ესპანეთი) — მიშა ზვერევი (გერმანია) 4:6 2:6 7:6 6:4 7:5; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — კარლოს მოია (15, ესპანეთი) 7:6 6:7 7:5 6:4; **აუგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:4 6:7 6:3 6:4; **პოლ კაპდევილი** (ჩილე) — ბრაიდან კლაინი (ავსტრალია) 6:4 7:5 6:4; **პოლანრი მატიო** (23, საფრანგეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:1 7:6 6:2; **ჟილ სიმონი** (28, საფრანგეთი) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 4:6 6:4 6:2 6:7 6:4; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:7 6:4; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:3 7:6 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 7:6 7:5 6:1

### ქალები
### პირველი წრე

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:2 6:2; **ოლგა პუჩკოვა** (რუსეთი) — მონიკ ადამჯაკი (ავსტრალია) 6:4 6:0; **ანგელიკ კერბერი** (გერმანია) — მარეტ ანი (ესტონეთი) 0:6 6:3 6:2; **ფრანჩესკა შიავონე** (25, იტალია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3 7:6; **სიბილ ბამერი** (19, ავსტრია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:7 6:4 6:2; **სუ-ვი ჰსი** (ტაივანი) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 2:6 6:4 8:6; **არავანე რეზაი** (საფრანგეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 7:6 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (13, საფრანგეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:1 4:6 6:3; **ელენა დემენტიევა** (11, რუსეთი) — ციპორა ობზილერი (ისრაელი) 6:2 6:2; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) — პეტრა ცეტკოვსკა (ჩეხეთი) 7:6 6:0; **ჯესიკა მური** (აშშ) — ჯული დიტი (აშშ) 6:3 6:2; **შაჰარ პირი** (17, ისრაელი) — რენატა ვორაცოვა (ჩეხეთი) 6:2 2:6 6:0; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — იულია ვაკულენკო (32, უკრაინა) 6:4 1:6 6:4; **ჯილ ქრეიბესი** (აშშ) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:4 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (აშშ) — სარა ერანი (იტალია) 6:2 3:6 7:5; **მარია შარაპოვა** (5, რუსეთი) — ელენა კოსტანიჩ ტოსიჩი (ხორვატია) 6:4 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) - ტამირა პაჟეკი (ავსტრია) 2:6 6:2 12:10; **ედინა გალოვიცი** (რუმინეთი) — სტეფანი დუბუა (კანადა) 7:6 6:3; **ფლავია პენეტა** (იტალია) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:4 5:7 6:4; **ვირჟინი რაზანო** (30, საფრანგეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:3 7:5; **ამელი მორესმო** (18, საფრანგეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:7 6:0 6:0; **იაროსლავა შვედოვა** (რუსეთი) — ტატიანა მალეკი (გერმანია) 6:2 6:2; **კეისი დელაკუა** (ავსტრალია) — კარინ კნაპი (იტალია) 4:6 6:3 8:6; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 6:3 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (12, ჩეხეთი) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:3 6:0; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — კაია კანეპი (ესტონეთი) 7:6 7:5; **ტატიანა პერებინისი** (უკრაინა) — მედისონ ბრენგლი (აშშ) 7:5 6:2; **აი სუგიამა** (იაპონია) — ვერა ზვონარიოვა (23, რუსეთი) 6:3 1:1 (უარი); **ვიქტორია აზარენკა** (26, ბელარუსი) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 6:2 7:5; **სანდრა კლოზელი** (გერმანია) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:1 6:7 6:4; **მენგ იუანი** (ჩინეთი) — ეკატერინა ივანოვა (რუსეთი) 4:6 6:4 6:2; **სერენა უილიამსი** (7, აშშ) — იარმილა გაიდიშოვა (ავსტრალია) 6:3 6:3

# ერთი დღე დუშეთში

## ნაკრები ისევ თბილისს დაუბრუნდა

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრებმა გუშინ დუშეთის სპორტის სასახლეში ივარჯიშა, თუ ამას ვარჯიში ჰქვია. მოგეხსენებათ, თბილისში ისეთი დარბაზი არ გამოიძებნა, სადაც ნაკრები ნორმალურ პირობებში მოემზადებოდა, ანუ, ლაპარაკი თბილ დარბაზზეა. ამის მერე სპორტის დეპარტამენტმა ხელბურთის ფედერაციას ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზა — დუშეთის სასახლე. ნაკრები იქ იმ იმედით გაემგზავრა, რომ კარგი პირობები დახვდებოდა და საწვრთნელ პროცესს არ შეეშლებოდა ხელი. თუმცა... დუშეთშიც ცივი დარბაზი დაგვხვდა. ამიტომ ვარჯიში ფაქტობრივად ვერ ჩატარდა. ბიჭებმა ცოტა წაივარჯიშეს, კალათბურთი ითამაშეს მწვრთნელ იმედო ფხაკაძის დავალებით და ვარჯიშიც დამთავრდა. ამიტომ დღეიდან გუნდი ისევ თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ივარჯიშებს. გეტყვით, რომ ნაკრები ლეგიონერებით თითქმის სრულად შეივსო. ბიჭებთან ერთადაა სერგო დათუკაშვილი („ლიუბეკი" გერმანია), ვლადიმერ რუსია („დინამო" რუმინეთი), რატი მსხვილიძე („სტიარნანი" ისლანდია). ერთადერთი ლეგიონერი, ვინც არ ჩამოსულა, ეს მაკედონიურ „მეტალურგში" მოთამაშე რევაზ ჭანტურიაა და მასაც დღეს ელოდებიან.

რაც ყველაზე მთავარია, ყველა პრობლემის მიუხედავად გუნდში შესანიშნავი განწყობაა. ბიჭები მოტივაციის ნაკლებობას არ უჩივიან და მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ.

აქვე გეტყვით, რომ გუნდის მთავარი მეკარე შოთა თევზაძე შვედეთის „მალმიოშია" სინჯებზეა და სავარაუდოდ ნაკრებს ნორვეგიაში შეუერთდება. დაბოლოს, ქართული ხელბურთის ქომაგთა გასახარად, 20 იანვარის „ჩელენჯ-ტროფის" ფინალს საქართველოსა და ლუქსემბურგს შორის „საზოგადოებრივი მაუწყებელი" აჩვენებს. თამაში თბილისის დროით 6 საათზე დაიწყება.

**ლექსო მაისურაძე**

# ლუქსემბურგი არც ისეთი სუსტია

## მოვინდომოთ და მოვუგებთ

*მოახლოვდა 20 იანვრის „ჩელენჯ-ტროფის" ფინალი და ქართველი ქომაგის ინტერესიც უფრო მეტად იზრდება ამ თამაშის მიმართ. ლუქსემბურგთან მოგება უმნიშვნელოვანესია იმ მხრივ, რომ ეს გამარჯვება ტრამპლინად უნდა იქცეს მომავალი ევროშესარჩევის წინ. ბუნებრივია, საინტერესოა, თუ როგორ ფორმაში არიან ქართველი ლეგიონერები, ვისზეც დიდად იქნება ნაკრების კარგი თამაში დამოკიდებული. დღეს ჩვენი სტუმარი რუმინულ „დინამოში" მოთამაშე* **ვლადიმერ რუსია**, *რომელმაც თავიდან საკლუბო ამბებზე გვიამბო.*

— რუმინეთის ჩემპიონატში მეხუთე-მეექვსე ადგილებს ვიყოფთ და ლიდერ „სტიაუას" 8 ქულით ჩამოვრჩებით. დანარჩენებთან სხვაობა კი 2-3 ქულაა. ასე რომ, ყველაფერი წინაა და ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ისე კი, ხელმძღვანელობამ მინიმუმად სამეულში შესვლა დაგვისახა მიზნად და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, დასახულ მიზანს მივაღწევთ. ახლაც შეკრება გავიარეთ მაღალმთიან ადგილას და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. მეც საკმაოდ დიდხანს მიწევს თამაში, მაგრამ უფრო მეტი მინდა, ეს არ მაკმაყოფილებს. არადა, გუნდში უდიდესი კონკურენციაა. მარტო ჩემს პოზიციაზე ოთხი ძლიერი ხელბურთელია, ზოგი სულაც რუმინეთის ნაკრების წევრია. მართალია, შემადგენლობის შერჩევის დროს მთავარი კარგ ფორმაში ყოფნაა, მაგრამ ბუნებრივია, რუმინეთის ნაკრების წევრს მეტი პრივილეგია აქვს.

— თქვით, უფრო მეტი სათამაშო დრო მინდაო, ხომ არ ფიქრობთ სხვა გუნდში გადასვლაზე, სადაც მეტი სათამაშო დრო გექნებათ?

— გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს. ამიტომ მე თვითონ ვერაფერს შევცვლი, თუ ვინმე გამოჩნდა, ან გუნდი გამიშვებს, მაშინ შეიძლება წასვლა...

— ახლა ნაკრებზეც, როგორ ფორმაში ხვდებით ფინალს?

— რაც ყველაზე მთავარია, გუნდში შესანიშნავი განწყობაა, ბიჭები მონდომებულები და შემართულნი არიან. მეც მოუთმენლად ველი ფინალურ დაპირისპირებას. ლუქსემბურგზე კი გარკვეული ინფორმაცია ჩემმა უკრაინელმა თანაგუნდელმა მომცა. მისი თქმით, მეტოქე სუსტი არ არის. მათ. უკრაინის ნაკრები ეთამაშა და სტუმრად დაძაბულ თამაშში ორი ქულით მოუგო. ეს ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ. მეტოქეს პატივი უნდა ვცეთ და მოედანზე საბრძოლველად, ჩვენი შესაძლებლობების წარმოსაჩენად გავიდეთ. მჯერა, თუ ყველაფერი კარგად იქნება, გამარჯვებასაც მივაღწევთ.

**ლექსო მაისურაძე**



### ჰაინეკენის თასი ჯგუფური ეტაპის მესამე ტური

# ქართველების კლერმონი ბენწვის ხიდს მიადგა

**მომავალ** უქმეებზე ჰაინეკენის თასზე ჯგუფური ეტაპის ბოლო ჯახები გაიმართება. ქართული დუეტის, შველიძე-ზირაქიშვილის „კლერმონს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად „სკარლეტზთან" დიდი ოფლის ღვრა დასჭირდება. ერთი ეგ არის, რომ „სკარლეტზი" წყალწაღებული აუტსაიდერია და ხუთი თამაშიდან ერთი მოგება კი არა, ბონუსქულაც ვერ გამოადნო. ჯგუფის ლიდერი ლონდონური „ვოფსი" გასვლაზე მეორე ადგილზე მყოფ „მანსტერს" ეწვევა ირლანდიაში. „ვოფსის" მარცხისა და „კლერმონის" ბონუსქულით გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებურების გუნდმა შეიძლება გაიკვლიოს ჯგუფიდან გზა. თუ მანსტერმა წააგო, ხომ მთლად უკეთესი ფრანგებისთვის, მაგრამ ვინ იცის, იქნებ „სკარლეტზმაც" გაიჯახუნოს კარი...

იქამდე კი გასულ კვირაში მეხუთე ტურის მატჩები ჩატარდა და მიმოხილვასაც სწორედ „კლერმონი" — „მანსტერის" ჯახით დავიწყებთ, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ შველიძე განაცხადში არ ყოფილა, ხოლო ზირაქიშვილმა მატჩს თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

ბევრს ეცადნენ ირლანდიის ნაკრების ვარსკვლავი რონან ოჰარა და ლეგენდარული დაგ ჰაულეტი, მაგრამ გავეშებულ ფრანგთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყეს. „კლერმონის" ავსტრალიელი ბროკ ჯეიმსი და ფრანგი პიერ მინიონი მოედნის ცენტრში წარბშეუხრელად აკონტროლებდნენ სიტუაციას. თამაშში ანგარიში ოჰარას ჯარიმით გაიხსნა, მაგრამ ამისა და კიდევ ერთი ჯარიმის მეტი პირველ ნახევარში ირლანდიელებმა მასპინძლებს ვერაფერი გამოსტყუეს. სამაგიეროდ, მინიონმა მე-17 წუთზე პირველი ლელოთი დაამწუხრა მომხვდურნი. უნდა ითქვას, რომ „კლერმონმა" საქმე პირველ ნახევარშივე მოაგვარა, შესვენებამდე მეტოქეს ოცი ქულა აუღო და როგორც უკვე გითხარით, მხოლოდ ექვსი გაუშვა.

მეორე ტაიმში კი მოგულიანდნენ ირლანდიელები და შემოერტყნენ ფრანგთა ლელოს მისადგომებს, მაგრამ მათი მონდომება ფუჭი აღმოჩნდა. „კლერმონმა" ჭკვიანურად დაიცვა თავი — თავგამოდებით იბრძოდა, წესებსაც ხშირად არღვევდა, რაც სამ ყვითელ ბარათშიც აისახა, მაგრამ მოსაგები თამაში იყო და მოიგო კიდეც...

ჰაინეკენის თასის მოქმედმა მფლობელმა ლონდონის „ვოფსმა" გააცამტვერა საწყალი „სკარლეტზი" და კიდევ ერთხელ დაანახვა რაგბის სამყაროს, თუ რამხელა სხვაობაა კლასში ამ ორ გუნდს შორის. 6 ლელო და მთელ შეხვედრაში კოლოსალური უპირატესობა, თამაში ცალკარა იყო. „ვოფსისა" და ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავი დენი კიპრიანი უშეცდომო გახლდათ. 20 წლის გამთამაშებელს წინდაუხედაობის არაფერი ეტყობოდა. გარდასახვებიც თითქმის შეუცდომლად არტყა და თამაშიც დაალაგა, როგორც საჭირო იყო. თითქოს ფრთები შეესხა ლოურენს დალალიოსაც. ვეტერანმა კაპიტანმა არაერთი გარღვევა მოაწყო, რაც ლელოებითაც დაგვირგვინდა.

საინტერესო ჯახი გაიმართა მეექვსე ჯგუფში, სადაც სატურნირო ვითარება უკიდურესად დაძაბულია. ბრაიან ოდრისკოლის „ლენსტერმა" სახელიანი მორაგბეებით გადაჭედილი „ტულუზი" ირლანდიაში მიიღო და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში ოქროს ფასის სადარი გამარჯვება მოიპოვა. თვითმხილველები ამბობენ, „ლენსტერის" მე-14 ნომერმა ლუკ ფიჯერალდმა თავი გაიგიჟაო. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 10:3 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ, როცა „ტულუზის" რიგებში მობერებული ბაირონ კ�ლეჰერის ნაცვლად ჟან-ბატისტ ელისალდე შევიდა და გალთა შეტევებს სწორი გეზი მისცა. წყალი აიმღვრა და თევზს ვინ დაიჭერდა, ჯერ გაურკვეველი იყო, მაგრამ ისევ ბრაიან ოდრისკოლმა ივარგა, ვისაც უკვე მერამდენე შეხვედრაა, ლელო არ გაუტანია. სამაგიეროდ, მის გაჩერებაში ორი-სამი კაცი ყოველთვის ცდებოდა, რამაც საბოლოო ჯამში მოარღვია კიდეც „ტულუზის" დაცვის გორიზი რიგები.

**ზურაბ მიგრიაული**

**I ჯგუფი**

**ლონდონ აირიში 41:24 ნიუპორტი**

**ლონდონ აირიში:** 6ლ: გერატი, ჰევატი, ჰიქი, ტორპი (3); 4გ: ჰევატი (3), ჰიქი ½; 1ს: ჰევატი
**ნიუპორტი:** 4ლ: დეილი, ფუსელი, სვენი, ვეიტი; 2გ: სმიტი, სვენი

**პერპინიანი 55:13 ტრევიზო**

**პერპინიანი:** 8ლ: ალვარესი, ბრიცი, კუსაიტერი, დურანდი, გუირადო (3), პერესი; 6გ: მონტგომერი (2), როსალენი (4); 1ს: როსალენი
**ტრევიზო:** 1ლ: ფან ზუი; 1გ: გუსენი; 2ს: გუსენი

ლონდონ აირიში 19, პერპინიანი 18, ნივპორტი 8, ტრევიზო 5

**II ჯგუფი**

**ოსფრისი 32:15 გლოსტერი**

**ოსფრისი:** 2ლ: ჰაიბარდი, უილიამსი; 2გ: ჰუკი; 6ს: ჰუკი
**გლოსტერი:** 2ლ: ლამბი, ლაუსონი; 1გ: პეტერსონი; 1ს: ლამბი

**ალსტერი 25:24 ბურგუენი**

**ალსტერი:** 3ლ: ბოვი, მარშალი, ტრიმბლი; 2გ: ჰამფრიზი; 2ს: ჰამბრიზი
**ბურგუენი:** 4ლ: კუქსი, დენოსი, პეტრილი, ვიგნაქსი; 2გ: ჰარა

გლოსტერი 19, ოსფრისი 17, ბურგუენი 7, ალსტერი 5

**III ჯგუფი**

**კარდიფ ბლიუზი 23:12 ჰარლიქვინსი**

**კარდიფ ბლიუზი:** 2ლ: ჰივიტი, შანკლინი; 2გ: ბლეირი; 3ს: ბლეირი
**ჰარლიქვინსი:** 2ლ: ბრაუნი, ლუსკომბი; 1გ: მალონე

**სტად ფრანსე 19:11 ბრისტოლი**

**სტად ფრანსე:** 2ლ: არიასი, კორლეტო; 3ს: სკრელა
**ბრისტოლი:** 1ლ: ერსკოტი; 2ს: სტრეინჯი

კარდიფ ბლიუზი 16, სტად ფრანსე 13, ბრისტოლი 12, ჰარლიქვინსი 2

**IV ჯგუფი**

**სარასენზი 45:16 ბიარიცი**

**სარასენზი:** 4ლ: ჯეკი (2), პენეი, ვივიენი; 4გ: ჯეკსონი, რასელი; 4ს: ჯეკსონი
**ბიარიცი:** 1ლ: კაბანიესი; 1გ: დუპუი; 3ს: დუპუი

**ვიადანა 15:18 გლაზგო**

**ვიადანა:** 2ლ: ერასმუსი; 1გ: ჰოვარდი; 1ს: პილატი
**გლაზგო:** 2ლ: ბრაუნი, სტორტონი; 1გ: პარკსი; 2ს: პარკსი

სარასენზი 20, გლაზგო 15, ბიარიცი 13, ვიადანა 3

**V ჯგუფი**

**ვოფსი 40:7 სკარლეტზი**

**ვოფსი:** 6ლ: დოჰერტი, ჰადლეი, საქეი, ვიკერი, ვალდუკი, გოტერსი; 6გ: კიპრიანი (4), დოჰერტი (2)
**სკარლეტზი:** 1ლ: მანუ; 1გ: პრაისტლენდი

**კლერმონი 26:19 მანსტერი**

**კლერმონი:** 2ლ: ლედესმა, მინიონი; 2გ: ჯეიმსი; 4ს: ჯეიმსი
**მანსტერი:** 1ლ: მაფი; 1გ: ოჰარა; 4ს: ოჰარა

ვოფსი 18, მანსტერი 15, კლერმონი 14, სკარლეტზი 0

**VI ჯგუფი**

**ლენსტერი 20:13 ტულუზი**

**ლენსტერი:** 2ლ: ფიჯერალდი; 2გ: კონტეპომი; 1ს: კონტეპომი; 1ა: კონტეპომი
**ტულუზი:** 1ლ: დონგაი; 1გ: კურენტი; 2ს: კურენტი

**ედინბურგი 17:12 ლესტერი**

**ედინბურგი:** 2ლ: ფორდი, გუდმანი; 2გ: გუდმანი; 1ს: გუდმანი
**ლესტერი:** 4ს: გუდი

ტულუზი 15, ლენსტერი 12, ლესტერი 10, ედინბურგი 9

# ჟანიდან ჟანამდე

## გრანჟემ ფრანგებს კილი გაახსენა

**სამთო** თხილამურობის ჭირვეულმა ვარსკვლავმა, ამერიკელმა ბოდე მილერმა, როგორც ჩანს, ძველებური ტემპი აკრიფა და კუდზე დააჯდა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ავსტრიელ ლიდერ ბენჯამინ რაიხს, მაგრამ „თეთრი ცირკის" გასული უიქენდის მთავარი გმირი არა ის, არამედ ფრანგი ჟან-ბატისტ გრანჟე იყო, რომელმაც შვეიცარიულ ვენგენში წყვილი გამარჯვება იზეიმა — ჯერ სუპერკომბინაციაში აჯობა ყველას და შემდეგ სლალომშიც იპირველა.

სუპერკომბინაცია საოცარი გამოდგა. სწრაფდაშვების შემდეგ გრანჟე, სადღაც 21-ე იყო და პირველობაზე არც ოცნებობდა, მაგრამ სლალომის ტრასაზე ყველაფერი თავდაყირა დადგა. ჟან-ბატისტმა იდეალურად ჩაისრიალა და ფინიშის სიახლოვეს, იმ წუთისთვის პირველ ადგილზე მყოფი მშვიდად გაიტრუნა. გატრუნვა ეძახე, და როდესაც მის შემდეგ გამომსვლელებს რიგრიგობით მოეცარათ ხელ-ფეხი, გრანჟე აფორიაქდა, ხოლო როდესაც ბოლო მონაწილე, ავსტრიელი შონფელდერი, სადღაც შუა ტრასაზე დაეცა, ფრანგის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. გრანჟემ სუპერკომბინაცია სლალომის ხარჯზე მოიგო და მეორე დღეს, საკუთრივ სლალომშიც არავის დაანება პირველობა. ახალგაზრდა ფრანგისთვის ეს კარიერაში მესამე მოგება იყო და ისიც სათქმელია, რომ სამივე წლევანდელ სეზონში მოიპოვა. ეს კი იმის ნიშანია, რომ ფრანგებს ძველი ოპტიმიზმი დაუბრუნდეთ — მთის თხილამურობის ოდინდელი გიგანტები ბოლო ხანებში წარმატებებით ვერ დაიკვეხნიდნენ და აჰა, გრანჟეს გამოჩენამ მათ, მთლად ჟანკლოდ კილი თუ არა, ლიუკ ალფანი მაინც გაახსენა.

მილერით დავიწყეთ და ამერიკელმა უიქენდის დასვნითი შეჯიბრი, სწრაფდაშვება მოიგო და რაიხს საერთო ჩათვლაში ერთი ეტაპის მოგების მანძილზე მიუახლოვდა. ამათ უკან შვეიცარიელები დიდიე კუშე და დანიელ ალბრეხტი მოდიან.

ახლა ქალებს რაც შეეხება და მათ სლოვენიურ მარიბორში გიგანტურ სლალომსა და სლალომში ისრიალეს. ორივე შემთხვევაში სერიები შეწყდა. გიგანტში, მარიბორამდე, ამ სეზონში ყველა ეტაპს იტალიელი დენიზ კარბონი იგებდა და ამ ჯერზე კი ყველას ავსტრიელმა ელიზაბეტ გიორგლმა აჯობა, რომელმაც 146-ე ცდაზე კარიერის პირველი გამარჯვება მოიპოვა. სლალომს რაც შეეხება, ავსტრიელი მარლიზ შილდის საქმე ამ სეზონში ასე იყო — თუ ფინიშამდე მივიდოდა, იგებდა კიდეც, მაგრამ ახლა ძველი სურათი წაშალა. შილდმა პოდიუმის მხოლოდ მესამე საფეხური დაიკავა თანამემამულე ნიკოლ ჰოსპისა და სლოვაკი ვერონიკა ზუზულოვას შემდეგ. საერთო ჩათვლაში, საკმაოდ დიდი უპირატესობით, ჰოსპი ლიდერობს და შილდი მას 125 ქულით ჩამორჩება.

### მსოფლიოს თასი. კაცები. ფენგენი. შვეიცარია. 10-13 იანვარი

**სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის ერთი ცდა)**

| | |
|---|---|
| 1. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 2 წთ 20,61 წმ (1.36,40+44,21) |
| 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 2.20,67 (1.35,31+45,36) |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 2.21,12 (1.35,09+46,03) |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.21,16(1.35,71+45,45) |
| 5. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 2.21,19(1.36,31+44,88) |

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 1 წთ 34,81 წმ (47,30+47,51) |
| 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 1.35,61 (47,88+47,73) |
| 3. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 1.35,70(48,63+47,07) |
| 4. ანდრე მირერი (შვედეთი) | 1.36,20(48,36+47,84) |
| 5. ბოდე მილერი (აშშ) | 1.36,35 (48,46+47,79) |

**სწრაფდაშვება**

| | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 2 წთ 30,40 წმ |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 2.31,05 |
| 3. მანუელ ოსბორნ-პარადისი (კანადა) | 2.31,73 |
| 4. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 2.31,77 |
| 5. ანდრეას ბუდერი (ავსტრია) | 2.32,16 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 690 ქულა |
| 2. ბოდე მილერი (აშშ) | 611 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 605 |
| 4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 566 |
| 5. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 456 |

### მსოფლიოს თასი. ქალები. მარიბორი. სლოვენია. 12-13 იანვარი

**გიგანტური სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2 წთ 38,49 წმ (1.20,07+1.18,42) |
| 2. მანუელა მიოლგი (იტალია) | 2.38,98(1.20,47+1.18,51) |
| 3. დენიზ კარბონი (იტალია) | 2.40,21 (1.21,48+1.18,73) |
| 4. კატრინ ჰოელცლი (ავსტრია) | 2.40,69(1.21,33+1.19,36) |
| 5. ტანია პოუიტიაინენი (ფინეთი) | 2.40,74(1.21,29+1.19,45) |

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1 წთ 40,55 წმ (48,56+51,99) |
| 2. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.41,01 (48,91+52,10) |
| 3. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1.41,06 (49,64+51,42) |
| 4. სარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 1.41,65 (49,33+52,32) |
| 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.41,86 (49,30+52,56) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 699 ქულა |
| 2-3. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 574 |
| 2-3. მარია რიოში (გერმანია) | 574 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 538 |
| 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 533 |



### მსოფლიოს თასი. ვალ დე ფიემე. იტალია.12-13 იანვარი

**პირადი გამოდევნება (ორი ნახტომი HS 134 ტრამპლინიდან + 15 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 41 წთ 52,2 წმ (მე-2 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | +34,1 წმ (18) |
| 3. სებასტიან ჰასენეი (გერმანია) | +34,3 (19) |
| 4. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | +54,7 (15) |
| 5. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | +1.02,1 (10) |

**პირადი. სპრინტი (1 ნახტომი HS 134 ტრამპლინიდან + 7,5 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ჰასენეი (გერმანია) | 20 წთ 03,4 წმ (მე-14 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | +0,3 წმ (5) |
| 3. დავიდ კრეინერი (ავსტრია) | +2,0 (4) |
| 4. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | +2,8 (9) |
| 5. რონი აკერმანი (გერმანია) | +3,0 (3) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 671 ქულა |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | 593 |
| 3. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 514 |
| 4. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 504 |
| 5. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 499 |



# ჰილდეს დუბლი

**გასულ** უქმეებზე იტალიურ ვალ დე ფიემეში თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასის მორიგი ორი შეჯიბრი გაიმართა და პირველი მათგანი, კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. ნორვეგიელ მხტომელ ბიორნ ეინარ რომორენს, ვინც გიგანტური ტრამპლინებიდან ფრენაში მსოფლიოს რეკორდსმენი გახლავთ, მეორე ცდის შესრულებისას თხილამურის სამაგრი გაეხსნა, ტრამპლინიდან გამოსვლისთანავე მარჯვენა თხილამური მოსძვრა და წონასწორობადაკარგული მიწას დაენარცხა.

საბედნიეროდ, რომორენი უვნებლად გადარჩა და შეჯიბრის ორგანიზატორებმა კი მეორე ცდა საერთოდ გააუქმეს. შედეგად, ერთი ნახტომით სხვა ნორვეგიელმა, ტომ ჰილდემ იმარჯვა და აქაოდა, ეს გამარჯვება ვინმემ იაფად არ დამიფასოსო, მეორე დღეს, სრული პროგრამით გამართულ ეტაპზეც ყველას აჯობა.

ამ წყვილი წარმატებით ჰილდემ საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე აინაცვლა, ხოლო თავში, კვლავაც ავსტრიელი ტომას მორგენშტერნია.



ცალთხილამურიანი ბიორნ ეინარ რომორენი საბედისწეროდ დაეცა, მაგრამ მაინც წამოდგა

### მსოფლიოს თასი. ვალ დე ფიემე. იტალია.12-13 იანვარი

**პირადი. HS 134 (ერთი ნახტომი)**

| | |
|---|---|
| 1. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 133,9 ქულა (130,5 მ) |
| 2. სიგურდ პეტერსენი (ნორვეგია) | 133,5 (130,0) |
| 3. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 132,7 (129,0) |
| 4. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 131,8 (128,5) |
| 5. იანე აჰონენი (ფინეთი) | 129,2 (129,0) |

**პირადი. HS 134**

| | |
|---|---|
| 1. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 253,4 ქულა (124,5 მ და 128,5 მ) |
| 2. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 247,7 (128,5 და 120,5) |
| 3. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 246,3 (125,0 და 123,5) |
| 4. იანე აჰონენი (ფინეთი) | 245,7 (123,5 და 125,5) |
| 5. ჯერნეი დამიანი (სლოვენია) | 243,8 (124,0 და 124,0) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 1070 ქულა |
| 2. იანე აჰონენი (ფინეთი) | 710 |
| 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 707 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 602 |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 487 |

მიხაელ გრაისმა მშობლიურ რუპოლდინგში ორჯერ იმარჯვა

# ორგზის გრაისი და ვაი რუსებს ვარისისგან

**ამ სეზონში** პირველად მოხდა, მსოფლიოს თასის ეტაპზე ოლე ეინარ ბიორნდალენმა რომ ვერ იმარჯვა. არა, პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე დიადი ნორვეგიელი გერმანულ რუპოლდინგშიც ავიდა, მაგრამ ეს ესტაფეტის შემდეგ მოხდა. როდესაც ოლემ თანაგუნდელებთან ერთად შანსი არავის დაუტოვა. საქმე იმაშია, რომ კარიერაში მსოფლიოს თასის 79 ინდივიდუალური ეტაპის მომგებმა ბიორნდალენმა ამ ჯერზე, სწორედ ინდივიდუალურ სახეობებში ვერ ივარგა და სპრინტშიც და გამოდევნებაშიც მეხუთე ადგილებს დასჯერდა.

ოლემ მაინც იხეირა, რადგანაც გენერალურ კლასიფიკაციაში თასისი უმთავრესი კონკურენტი, რუსი დმიტრი იაროშენკო ორივეჯერ უკან მოიტოვა და შესაბამისად, მეორეადგილოსანთან უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

რუპოლდინგში მიხაელ გრაისის დღეობა იყო. ტურინის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა როგორც იქნა გამოიღვიძა და მშობლიური პუბლიკის თვალწინ წყვილად, თანაც ორივეჯერ უაღრესად დამაჯერებლად იმარჯვა.

აი, ქალებში კი გერმანელებმა ესტაფეტაში მოგების შემდეგ ველარ გაიხარეს. სპრინტში, სრულიად მოულოდნელად, ყოფილმა მოთხილამურემ, ფინელმა კაისა ვარისმა აჯობა ყველას, რომელმაც რუსული „ევროსპორტის“ წამყვანს მთელი სადღეგრძელოები წაუხდინა — ვარისის ფინიშამდე პირველ ადგილზე სვეტლანა სლეპცოვა იყო და კომენტატორიც მთელ ხმაზე იჭაჭებოდა, სვეტას უკან აღარავინ დარჩა, ერთი ვარისია და ის კი სასროლეთზე აუცილებლად შეცდებაო. კაისა არ შეცდა, სლეპცოვა უკან ჩამოიტოვა და კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი.

ასევე პირველად იმარჯვა ნორვეგიელმა სოლვეიგ როგსტადმა, რომელმაც მეორე დღის 10-კილომეტრიანი გამოდევნებისას იდეალურად ისროლა და კონკურენტები ახლოს არ გაიკარა.

### მსოფლიოს თასი. V ეტაპი. რუპოლდინგი. გერმანია. 9-13 იანვარი

**ქაცები**

**ესტაფეტა. 4X7,5 კმ (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია (სვენდსენი, ბრატსვენი, ჰანევოლდი, ბოირნდალენი) | 1 სთ 27 წთ 06,9 წმ (0 საჯარიმო წრე, 4 დამატებითი ვაზნა) |
| 2. რუსეთი (ჩერეზოვი, კრუგლოვი, იაროშენკო, ჩუდოვი) | +19,3 წმ (0 და 6) |
| 3. გერმანია (რიოში, ვოლფი, პუმპი, გრაისი) | +45,3 (0 და 7) |
| 4. შვედეთი (იუნსონი, ფერი, მილსონი, ბერგმანი) | +1.27,1 (0 და 10) |
| 5. იტალია (დე ლორენცი, კოლა, მარტინელი, ვინდისი) | +2.19,7 (0 და 6) |

**სპრინტი. 10 კმ ორი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 24 წთ 59,2 წთ (0 აცდენა) |
| 2. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 25.19,0 (1) |
| 3. ალექსანდრ ვოლფი (გერმანია) | 25.29,7 (1) |
| 4. დანიელ გრაფი (გერმანია) | 25.38,6 (0) |
| 5. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 25.40,9 (1) |

**გამოდევნება. 12,5 კმ ოთხი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 36 წთ 23,42 წმ (1 აცდენა) |
| 2. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | +28,2 წმ (3) |
| 3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | +53,9 (1) |
| 4. ბიორნ ფერი (შვედეთი) | +55,3 (2) |
| 5. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | +1.02,6 (4) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 425 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 367 |
| 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 275 |
| 4. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 254 |
| 5. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 243 |

**ქალები**

**ესტაფეტა. 4X6 კმ (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. გერმანია (ჰიტცერი, ნოინერი, ბუშხოლცი, ვილჰელმი) | 1 სთ 17 წთ 56,0 წმ (3 საჯარიმო წრე, 10 დამატებითი ვაზნა) |
| 2. ნორვეგია (ბერგერი, ინგსტადბორგი, როგსტანდი, ფლატლანდი) | +24,3 წმ (0 და 9) |
| 3. რუსეთი (სლეპცოვა, ანისიმოვა, იურევა, გუსევა) | +1.15,9 (1 და 10) |
| 4. საფრანგეთი (პერეტო, ბეკარი, ბრიუნე, ბაიი) | +1.32,0 (0 და 6) |
| 5. შვედეთი (ჰიობერგი, ოლოფსონი, ნილსონი, იუნსონი) | +1.46,5 (0 და 8) |

**სპრინტი. 7,5 კმ ორი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. კაისა ვარისი (ფინეთი) | 24 წთ 09,4 წმ (0 აცდენა) |
| 2. სვეტლანა სლეპცოვა (რუსეთი) | 24.25,4 (0) |
| 3. ჰელენა იუნსონი (შვედეთი) | 24.43,7 (0) |
| 4. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 24.46,6 (2) |
| 5. სილვეიგ როგსტადი (ნორვეგია) | 24.47,3 (1) |

**გამოდევნება. 10 კმ ოთხი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. სოლვეიგ როგსტადი (ნორვეგია) | 33 წთ 43,29 წმ (0 აცდენა) |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +12,6 წმ (2) |
| 3. კაისა მაკარაინენი (ფინეთი) | +30,9 (1) |
| 4. ტორა ბერგერი (ნორვეგია) | +33,7 (1) |
| 5. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +34,7 (4) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 327 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 303 |
| 3. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 300 |
| 4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 299 |
| 5. ჰელენა იუნსონი (შვედეთი) | 275 |



### ევროპის ჩემპიონატი. ჩეზანა. იტალია. 10-13 იანვარი

**კაცთა ერთეულები:** 1. ცოგელერი (იტალია) 1 წთ 44,341 წმ; 2. დენენკო (რუსეთი) 1.44,682; 3. მიოლერი (გერმანია) 1.44,744
**ქალთა ერთეულები:** 1. ჰაიზენბერგერი (გერმანია) 1 წთ 35,364 წმ; 2. კრაუზხარ-პილახი (გერმანია) 1.35,524; 3. ჰელდერი (ავსტრია) 1.35,531
**კაცთა წყვილები:** 1. ობერშტოლცი, გრუბერი (იტალია) 1 წთ 33,779 წმ; 2. ა. ლინგერი, ვ. ლინგერი (ავსტრია) 1.33,938; 3. პლანკენშტაინერი, ჰასელრიდერი (იტალია) 1.33,962
**გუნდური ესტაფეტა:** 1. ლატვია (ა. სიკსი, ი. სიკსი, ტირუმა, რუბენისი) 2 წთ 40,863 წმ; 2. ავსტრია (ა. ლინგერი, ვ. ლინგერი, ჰელდერი, აბენტუნგი) 2.40,871; 3. იტალია (პლანკენშტაინერი, ჰასელრიდერი, გასპარინი, ცოგელერი) 2.40,913

ციგურაობა

# კრამერი ყველას წინააღმდეგ

## ჰოლანდია ქალებშიც მაგარია

**ყინულზე** ციგურებით მორბენალ-მოსრიალეებმა რუსულ კოლომნაში ევროპის ჩემპიონატი გამართეს კლასიკურ მრავალჭიდში და როგორც კაცებში, ისე ქალებში, პირველობა ჰოლანდიელებს დარჩათ.

სვენ კრამერიცა და ირენ ვიუსტიც ფავორიტები იყვნენ და წინასწარ გაცემული ავანსები ორივე მათგანმა ასი პროცენტით გაანაღდა.

კრამერმა ოთხიდან სამი დისტანცია (1500 მეტრის გარდა) მოიგო და უძველესი წესების თანახმად, ამ კილომეტრნახევარზე, სულაც ფინიშთანაც რომ ვერ მისულიყო, როგორც ოთხიდან სამი დისტანციის მომგებს, პირველობა ისეც ეკუთვნოდა.

ვიუსტმა კი პირიქით, მხოლოდ ერთ, ისიც სწორედ 1500-მეტრიან გარბენში იმარჯვა, მაგრამ იმდენად სტაბილური იყო, რომ კონკურენტებს საერთო ჯამში შანსი არავის დაუტოვა. ჩეხმა ვუნდერკინდმა მარტინა საბლიკოვამ ორივე სტაიერულ დისტანციაზე კი იმარჯვა, მაგრამ მრავალჭიდის ჯამში ოდენ მესამე იყო ჰოლანდიელების შემდეგ.

სვენ კრამერმა ევრობა აბსოლუტურად დაიპყრო

### ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ მრავალჭიდში. კოლომნა. რუსეთი. 12-13 იანვარი

**კაცები**

500 მ: 1. კრამერი (ჰოლანდია) 36,20 წმ; 2. ნედზვედსკი (პოლონეთი) 36,21; 3. ლალენკოვი (რუსეთი) 36,22; 4. ბოკო (ნორვეგია) 36,32; 5. სკობრევი (რუსეთი) 36,36
1500 მ: 1. ლალენკოვი 1 წთ 45,24 წმ; 2. ფაბრისი (იტალია) 1.45,45; 3. კრამერი 1.45,52; 4. ბოკო 1.46,12; 5. ოლდე ჰიუველი (ჰოლანდია) 1.46,42
5000 მ: 1. კრამერი 7 წთ 11,78 წმ; 2. ბოკო 6.17,45; 3. ოლდე ჰიუველი 6.17,68; 4. ფაბრისი 6.17,86, 5. სკობრევი 6.24,10
10 000 მ: 1. კრამერი 13 წთ 03,30 წმ; 2. ბოკო 13.06,42; 3. ფაბრისი 13.14,22; 4. ოლდე ჰიუველი 13.17,08; 5. შნაიდერი (გერმანია) 13.22,09
მრავალჭიდის ჯამი: 1. კრამერი 147,716 ქულა; 2. ბოკო 148,759; 3. ფაბრისი 149,407; 4. ოლდე ჰიუველი 149,836; 5. სკობრევი 151,546

**ქალები**

500 მ: 1. ლობიშევა (რუსეთი) 39,24 წმ; 2. ლეენსტრა (ჰოლანდია) 39,26; 3. ვან დეუტეკემი (ჰოლანდია) 39,40; 4. ვიუსტი (ჰოლანდია) 39,43; 5. პეხშტაინი (გერმანია) 39,52
1500 მ: 1. ვიუსტი 1 წთ 56,88 წმ; 2. ვან დეუტეკემი 1.57,07; 3. ლეენსტრა 1.57,24; 4. პეხშტაინი 1.57,28; 5. ანშიუტც-ტომსი (გერმანია) 1.57,91
3000 მ: 1. საბლიკოვა (ჩეხეთი) 4 წთ 01,67 წმ; 2. ვიუსტი 4.02,14; 3. ვან დეუტეკენი 4.03,40; 4. პეხშტაინი 4.04,66; 5. ანშიუტც-ტომსი 4.04,71
5000 მ: 1. საბლიკოვა 6 წთ 53,42 წმ; 2. ვიუსტი 6.57,87; 3. ვან დეუტეკემი 7.02,40; 4. პეხშტაინი 7.05,84; 5. ანშიუტც-ტომსი 7.09,67
მრავალჭიდის ჯამი: 1. ვიუსტი 160,533 ქულა; 2. ვან დეუტეკემი 161,229; 3. საბლიკოვა 161,693; 4. პეხშტაინი 161,973; 5. ანშიუტც-ტომსი 162,846

## მასტერსის ტურნირი. ლონდონი. ინგლისი. 13-21 იანვარი

# წმინდა ინგლისური თვითმკვლელობა

სტივ მაგუაერი

**თავიდან** ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ შოტლანდიურ ვენდეტას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ბოლოს ვენდეტა აღარ იყო — აღარც შოტლანდიური და, მით უმეტეს, აღარც კორსიკული — წმინდა ინგლისურ თვითმკვლელობას ჰქონდა ადგილი.

გასული წლის ბოლოს დიდ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატის ფინალში ინგლისელმა რონი ოსალივანმა 10:2 გაანადგურა შოტლანდიელი სტივ მაგუაერი და, როდესაც ბრმა წილისყრამ, დღესდღეობით პლანეტის ორი უძლიერესი სნუკერისტი ახალი წლის პირველი ტურნირის, მართალია არასარეიტინგო, მაგრამ უაღრესად პრესტიჟული „მასტერსის" პირველივე წრეში დააყენა მაგიდასთან გვერდიგვერდ, ინტერესი უზარმაზარი იყო.

მაგუაერს რევანშის შანსი მიეცა და როდესაც ის 4:1 დაწინაურდა, სქოთი გვარიანად იძიებს შურსო, ბევრმა გაიფიქრა. სნუკერის ჯადოქარი არ დანებდა და ზედიზედ ორი ფრეიმის მოგებით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. შემდეგ პარტიაში ისევ მაგუაერმა იმარჯვა და მოგებას ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა, მაგრამ რონიმ ანგარიში გაათანაბრა და გადამწყვეტ, მე-11 ფრეიმში, ისევ მაგუაერი იყო გამარჯვებასთან ახლოს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და ოსალივანმა ჩქეულ დიდოსტატურ სტილში დაიწყო ბურთულების მაგიდის ფოსოებში ჩაყრა. როდესაც მწვანე მაუდზე სამი (შავი, ვარდისფერი და ლურჯი) ბურთულაღა დარჩა, რონის გამარჯვებას წინ, თიქთოს აღარაფერი ეღობებოდა.

... იმ პოზიციაში, როგორშიც ლურჯი ბურთულა იყო, ოსალივანი ათიდან, ალბათ, ცხრას თვალდახუჭული ჩააგდებდა, მაგრამ ამჯერად სწორედ ის, მეათე შემთხვევა იყო — ბურთი ფოსოში არ ჩაეშვა და მაგუაერს თვალები გაუფართოვდა. დანარჩენი, უკვე ტექნიკის საქმე იყო. შოტლანდიელმა რევანში აიღო, მაგრამ ამას ვენდეტას ვერ დავარქმევთ, ეს უფრო თვითმკვლელობა იყო რონის მხრიდან.

„მასტერსის" პირველი დღის სხვა ორ მატჩში რამე განსაკუთრებული არ მომხდარა — მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ინგლისელმა შონ მერფიმ 6:3 მოუგო თანამემამულე ალისტერ კარტერს, ხოლო უელსელმა რაიან დეიმ 6:2 გაანადგურა ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილი ინგლისელი ბარი ჰოუკინსი.



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

II ტური

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | პაველ ელიანოვი (უკრაინა) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |



# დიდთან დიდი პატარა კარლსენი

**17 წლის** მაგნუს კარლსენი აღარ ხუმრობს. პირველ ტურში მან შავებით შაჰრიარ მამედიაროვი შემუსრა, მეორეში კი თეთრებით პაველ ელიანოვი და ლევონ არონიანთან ერთად ცხრილის თავში მოექცა.

ნორვეგიელმა ვუნდერკინდმა მეტოქეს დებიუტში ლაზიერის გამბიტი შესთავაზა, ასპარეზზე მხედრები გამოიყვანა და დედოფლის ფლანგიდან დაარტყა. საპასუხოდ უკრაინელმაც კავალერია აამოქმედა, გვერდებიდან კუები ამოუყენა და დიდი იერიშიც წამოიწყო. კარლსენი მეტოქეს მედგრად დაუხვდა, ეტლებით კუდით ქვა ასროლინა და 54-ე სვლაზე იმარჯვა.

მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი მასავით უქულო შაჰრიარ მამედიაროვს დაუპირისპირდა. ინდუსმა დებიუტი ესპანურად გაითამაშა და უკანა ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. აზერბაიჯანელმა იერიშებს მიმართა, თუმც ანანდს მენევრებში ვერ აჯობა და უკან დაიხია. თეთრებს მოსაგები პოზიცია მიეცათ, მაგრამ ბოლომდე ვერ იყოჩაღეს და 36-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდნენ.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ვესელინ ტოპალოვი და საბოლოოდ ისიც ყაიმს დასჯერდა — ბულგარელმა ვასილ ივანჩუკს ქულა 36-ე სვლაზე გაუყო.

**ლაშა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

| | |
|---|---|
| 1. მაგნუს კარლსენი | 2 |
| 2. ლევონ არონიანი | 2 |
| 3. თეიმურ რაჯაბოვი | 1,5 |
| 4. ვლადიმირ კრამნიკი | 1 |
| 5. იუდიტ პოლგარი | 1 |
| 6. ლუკ ვან ველი | 1 |
| 7. ვასილ ივანჩუკი | 1 |
| 8. მაიკლ ადამსი | 1 |
| 9. პეტერ ლეკო | 1 |
| 10. ვესელინ ტოპალოვი | 0,5 |
| 11. პაველ ელიანოვი | 0,5 |
| 12. ბორის გელფანდი | 0,5 |
| 13. ვიშვანათან ანანდი | 0,5 |
| 14. შაჰრიარ მამედიაროვი | 0,5 |



# კოკაის გვერდით ასასორიუა



**ქართველმა** პროფესიონალმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ, წლის პირველ სუპერტურნირზე, იანვრის ბაშოზე თავისი მეორე ბრძოლა გამართა და ამჯერად დამარცხდა. კოკაის მეტოქე აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირა კაკურიო იყო, ვინც მიჯრით ორი გამარჯვებით ლიდერობს კიდეც გოლიათთა ელიტარულ ამქარში. კაკურიუს მსგავსად, ორ-ორი მოგებით იოკოძუნა ჰაკუხო, ორძეკი კოტომიცუკი, სეკოვაკე ამინისიკი და რიგითი მაეგაშირები კისენოსაცო, ასასეკირიუ, კიოკუტენსი, ფუტენო და ტატეკამე უსტაბაშობენ. სწორედ ტატეკაძე იქნება ლევან ცაგურიას მომდევნო მეტოქე — ფავორიტიც ისაა.

გამოსარჩევი ამბავი კი 21 სუპერტურნირის მომგების, მონღოლი იოკუძუნა ასასორიუს წაგებაა. ასასორიუ ჰაკუსთან დამარცხდა და ცაგურიასი არ იყოს, ბალანსი ჯერჯერობით 1-1 აქვს. ეტყობა, ასასორიუზე ექვსთვიანმა დისკვალიფიკაციმ ძალიან იმოქმედა. ამის გამო მას შარშან, ორი საშემოდგომო ბაშო გაუცდა და ჭიდაობას ახლაღა დაუბრუნდა. დისკვალიფიკაცია კი სუმოს მამებმა სუპერგიგანტს შარშან სექტემბერში გამოუწერეს. მონღოლმა ითხოვა, შესიებული მუხლის დასაცხრობად სამშობლოში გამიშვითო, სუმოს მამებმა ასასორიუს ნება დართეს, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ იაპონელი ფეხბურთელის ჰიდოშიტო ნაკატას თხოვნით, მონღოლმა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში ითამაშა. ასასორიუს ეს არასერიოზული გამოხტომა სუმოს წესების უპატივცემულობად და აბუჩად აგდებად ჩაუთვალეს და დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ისე კი, ძალიან სახალისო იქნება 153-კილოგრამიანი გოლიათის ბურთაობის ნახვა.

**გაჩო სვანიძე**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

13 იანვარი

**ვაშინგტონი 4:6 ფილადელფია**
*1:2 2:2 1:2*
1:0 სიმონი (2), 1:1 კნუბლი (9), 1:2 კნუბლი (16), 1:3 დაუდი (26), 1:4 ამბერგერი (27), 2:4 გრინი (27), 3:4 ოვეჩკინი (32), 3:5 რიჩარდსი (49), 4:5 ნიულანდერი (54), 4:6 ტიმონენი (60)

**ფლორიდა 3:4 კოლორადო**
*1:1 1:1 1:1 0:0 (0:1 გულიტეგით)*
0:1 ბრიუნე (4), 1:1 ბაუმისტერი (15), 1:2 სვატოში (33), 2:2 ბუტი (35), 2:3 ბრიუნე (49), 3:3 იოკინენი (52)

**მინესოტა 4:1 ფინიქსი**
*0:0 2:0 2:1*
1:0 დემიტრა (31), 2:0 შუპარდი (35), 3:0 ბელანეი (43), 4:0 გაბორიკი (53), 4:1 დაუნი (55)

**სენტ ლუისი 3:4 ვანკუვერი**
*1:2 1:1 1:0 0:0 (0:1 გულიტეგით)*
1:0 ბეკმენი (6), 1:1 დ. სედინი (11), 1:2 ჰ. სედინი (19), 1:3 ნესლუნდი (21), 2:3 ტკაჩუკი (25), 3:3 ბოისი (52)

**ოტავა 1:3 აილენდერსი**
*0:1 1:0 0:2*
0:1 ბერუერონი (20), 1:1 ალფრედსონი (37), 1:2 ბერუერონი (45), 1:3 კომრი (47)

**ანაჰაიმი 4:3 სან ხოსე**
*1:2 1:1 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 რენიკი (3), 1:1 ბერტუცი (10), 1:2 მიტჩელი (16), 1:3 მიხალეკი (35), 2:3 პერი (37), 3:3 ვაიტი (60), 4:3 ბოშეენი (61)

**ედმონტონი 2:1 კალგარი**
*1:0 1:0 0:1*
1:0 ჰორკოფი (9), 2:0 ჰემსკი (21), 2:1 ლენგკოუ (44)

**ნეშვილი 2:3 ჩიკაგო**
*0:0 0:1 2:1 0:0 (0:1 გულიტეგით)*
0:1 შარპი (22), 1:1 ფიდლიცკი (45), 1:2 ლანგი (52), 2:2 ლეგვანდი (55)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge